სპორტიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 1 სექტემბერი 2005 №199 (2522) ფასი 50 თეთრი

ბოლოწამს

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე ბერძენი გოლკიპერი დიმიტრიოს ელეფტერიპულოსი „მილანიდან“ „რომაში“ გადაბარგდა. „ინტერის“ ნახევარმცველმა ფრანჩესკო კოკომ „ლივორნოს“ მაისური მორგო. „ლაციომ“ ანდრეა ჯალიმბარდო და სებასტიან სივილია შეიძინა. „რეჯინამ“ ფრანჩესკო კოცა, „ტრევიზომ“ კარლოს ვალდესი, „ასკოლიმ“ პოლ რამირესი და აგილარი, „უდინეზემ“ კრისტიან ხაპატა და სტაბონგა ნომვეტე, ხოლო „პალერმომ“ მარიანო ანდუხარი დაიმატა. ბოლო წამს რამდენიმე საინტერესო ტრანსფერი განხორციელდა „ნისლიან ალბიონზეც“. „მიდლსბროში“ ექსპარსელონელი ფაბიო როჩემბაკი და აბელ შავიერი შეიძინა. დარიო სიდვა „სევილიადან“ და სალეო დაია „ლიგერზელიდან“ „პორტსმუთში“ გადაბარგდნენ. „ბოლტონმა“ ფაბრის ფერნანდესი, ხოლო „რეინჯერსმა“ ფრენსის ჯეფერსი გადაბირაშაკლ ბოლი კი პსვ-ს დაუოძიმეორე ფლაზკოურმა კლუბმა „სელტიკმა“ ჩინელი ჩკვეული დუ ვეი იყიდა, ხოლო „ბლეკბერნმა“ „არსენალისგან“ დეკად ბენტლი ინაიხოვრანლბერტო სილანი „ნიუკასლში“ დაბრუნდა, სლოვაკი მარეკ ჩეხი „პორტუში“ გადავიდა.

ვთქვათ ისიც, რომ წუხელ გვიან რონალდინიომ და „ბარსელონამ“ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მოილაპარაკეს. ბრაზილიელი „ნოუ კემპზე“ 2010 წლამდე დარჩება. ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე წუთით ადრე კი „რეალმა“ 20 მილიონი ევროს სანაცვლოდ სერხიო რამოსის შეძენა მაინც შეძლო და ამ ზაფხულს პრიმერადივიზიონის უძვირესი ტრანსფერი გაჩარხა.

ბრიტანელები, უცხო ენები და ოლიმპიური თამაშები

4



სევდიანი-ხმაურიანი დიდი ტრეიდი

5

ერთიანი ერისთვის და პერისთვის

პატრიარქმა საქართველოს ნაკრები დალოცა

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალაცი და ეროვნული ნაკრების მწვრთნელი გაიოზ დარსაძე საპატრიარქოში გუშინდელი სტუმრობისას

ალექსანდრე ალექსიძის ფოტო

ხიზანიშვილმა ხელი მოაწერა

ბლეკბერნი ერთი წლით

გიორგი ქინქლაძის, მიხეილ ყაველაშვილის, თემურ ქეცბაიას და რატი ალექსიძის შემდეგ 23 წლის ზურაბ ხიზანიშვილი მეხუთე ქართველია, ვინც ევროპის ყველაზე ძვირ საფეხბურთო ლიგაში, ინგლისის პრემიერლიგაში ითამაშებს

გადრი კეთილაძის ფოტო

თქვენთან არს საქართველო!

გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრები საპატრიარქოს ეწვია და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორისგან ლოცვა-კურთხევა მიიღო.

საქართველოს ნაკრები უკრაინასთან გასამართი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩისთვის ემზადება და ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელებმა ბიჭების სულიერი განწყობის ამაღლებაზეც იზრუნეს. ფეხბურთელებიც გუშინდელი ვიზიტით კმაყოფილებას ვერ მალავდნენ...

მალხაზ ასათიანი: „ჩემთვის ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. ილია მეორის ლოცვა-კურთხევა არამარტო მოედანზე, ცხოვრებაშიც ძალიან დამეხმარება. ბედნიერი ვარ, რომ დღეს ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრას ვესწრები“.

დავით ოდიკაძე: „ეს ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი დღეა ჩემს ცხოვრებაში. ქრისტიანი ვარ და ამაზე მეტი პატივი ჩემთვის რა უნდა იყოს. მალე უკრაინასთან მატჩი გველის და იმედი მაქვს, პატრიარქის ლოცვა-კურთხევაც დიდად შეგვეშველება.“

ბახა შალამბერიძე



სანდრო ციცილაძის ფოტო

გუშინ ზურაბ ხიზანიშვილმა „ბლექბერნ როვერსთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და მას ხელმოწერიდან რამდენიმე საათში დავურეკეთ ინგლისში...



გადრი კეთილაძის ფოტო

ხიზანიშვილი ბლექბერნელია

მარკ ჰიუზმა ქართულიც იცის

— კონტრაქტზე ხელმოწერას ჩემი აგენტი ივან ბენეში, „ბლექბერნის“ მთავარი მწვრთნელი მარკ ჰიუზი და კლუბის პრეზიდენტი ესწრებოდნენ. ხელმოწერა კლუბის სტადიონზე, „ივუდ პარკზე“ შედგა.

— შოტლანდიურიდან ინგლისურ პრემიერლიგაში გადასვლით, ალბათ, ძალიან კმაყოფილი ხარ...

— ძალიან გახარებული ვარ, ღმერთმა ქნას, ყველაფერი კარგად წარიმართოს ჩემთვის.

— უკვე ყოფილ კლუბ „რეინჯერსთან“ კონტრაქტი 2008 წლის ზაფხულამდე გაკავშირებს — თუ არის ლაპარაკი „რეინჯერსიდან“ შენ გამოსყიდვაზე?

— კი, ამაზე მართლაც იყო ლაპარაკი, „ბლექბერნს“ ჩემი კონტრაქტის გამოსყიდვა სურდა, მაგრამ ეს სამომავლოდ გადაიდო.

— „ბლექბერნში“ რა ნომერი გერგო?

— ხელმოწერის შემდეგ კლუბის მაისურა კი გადმომცეს, მაგრამ ის უნომრო იყო — „ბლექბერნში“, სავარაუდოდ, 3 ან 23 ნომერი ვიქნები.

— „რეინჯერსში“ ბოლო ნახევარი სეზონი უთამაშებელი იყავი — ამაზე თუ ესაუბრე მარკ ჰიუზს?

— რა თქმა უნდა, და შეიძლება ითქვას, რომ მე და „ბლექბერნის“ მწვრთნელმა საერთო ენა გამოვნახეთ. ჰიუზი კარგი ადამიანი ჩანს, მას საკმაოდ კარგი წარმოდგენა აქვს საქართველოს ნაკრებზე, ჩვენს წინააღმდეგ უთამაშია კიდეც, როცა ევრო 96-ის შესარჩევ ციკლში უელსელებს ორჯერ მოვუგეთ — 5:0 და 1:0. მან იცის ქართული მენტალიტეტის შესახებ და ჩვენ მიმართ დადებითადაა განწყობილი.

— რას ნიშნავს შენთვის ის, რომ რეინჯერსელობის შემდეგ ინგლისური პრემიერლიგის ფეხბურთელი გახდი?

— ინგლისური პრემიერლიგა სულ სხვაა, აქ უფრო მეტი პასუხისმგებლობაა, თანაც ექვსი თვის უთამაშებელი ვიყავი და ყველაფერი ჩემდა სასიკეთოდ გადაწყდა.

— ოთხი ტურის შემდეგ „ბლექბერნი“ პრემიერლიგაში მე-12 ადგილზეა — რა მიზნისთვის იბრძოლებს ამ სეზონში?

— ბლექბერნელებს ათეულში ყოფნა სურთ.

დავით თავართქილაძე

ესპანეთი

თასი. I ეტაპი

ალვერია 0:0 *ნუმანსია* (4:5 პენ.)
კასტელონი 0:2 *ლეიდა*
ლორკა 1:2 *სიუდადი*
ფერროლი 2:0 სპორტინგი
ჰერკულესი 0:1 *ხიმნასტიკი*
ალბასეტე 2:1 პოლი ეხიდო
ლევანტე 0:1 *ეიბარი*
უელვა 3:2 ელჩე
მურსია 0:0 ტენერიფე (1:0 დ.დ)
ხერესი 1:1 ვალიადოლიდი (3:1 პენ.)

შოტლანდია

ბელსის თასი
II ეტაპი

სტრანრარი 1:2 სტენჰაუზმური
სტირლინგი 2:1 ბერუიკი
ძუინზ პარკი 1:2 სტ. მირენი

რუსეთი

თასი. მეთექვსმეტედფინალი
საპასუხო მატჩები

როსტოვი 1:1 *ლუჩი* (1:2)
ურალი 1:2 *სატურნი* (1:1)

დანია

თასი. I ეტაპი

ნიკიობინგი 2:4 ჰერფიოლგე

შვედეთი

სუპერლიგა. XXII ტური

გაის 3:0 ფრიოლუნდა

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XX ტური

ტურკუ 2:0 იარო
კტპ 5:3 ჰიკ

იაპონია

თასი. ნახევარფინალი
I მატჩები

ურავა 1:3 იჩიჰარა
გამბა 1:0 იოკოჰამა

სლოვაკეთი

თასი. I ეტაპი

ინტერი 0:2 *პეტრჟალკა*
ნიტრა 1:1 ჟილინა (4:3 პენ.)
მოჩენოკი 3:0 სოგოტა
ტრენჩინი 3:0 ბ. ბისტრიცა

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

უკრაინა თბილისში ბიუჯეტის შესავსებად მოდის

ოლეგ ბლოხინი: მაინტერესებს ახალი საქართველო

29 **აგვისტოდან** კიევის ბაზა კონჩა-ზასპაზე გახურებული ვარჯიშებია, უკრაინის ნაკრები სათბილისოდ და ზეიმის მოსაწყობად ემზადება — ერთი მოგება და უკრაინა გერმანიის ბილეთებს უკვეთავს. *ოლეგ ბლოხინმა* გუშინ პრესკონფერენცია გამართა, ჟურნალისტებმა იგი კითხვებით გააბრუეს, ხოლო ჩვენ კითხვების გარეშე, პირდაპირ ოლეგ ვლადიმიროვიჩის ნაუბარს გაახლებთ...



— ბოლომდე კარტების გახსნას არ ვაპირებ. თქვენ გინდათ, რომ ქართველებს გავაგებინო, როგორ ვითამაშებთ? მაშინ ჯერ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა გვითხრას, რას დაგვიპირისპირებს. ჯერჯერობით ამ მატჩისთვის არც ტაქტიკური ვარიანტი შემირჩევია და არც ძირითადი შემადგენლობა, ყაზახეთ — საქართველოს ფირი უნდა ვნახო, ჩვენს მეტოქეს ბევრი ახალი ფეხბურთელი ჰყავს. თანაც, ყაზახეთში არ უთამაშია მალხაზ ასათიანს. ასე რომ, ვერ ვიტყვი, „პირველ ნომრად" ვითამაშებთ თუ „მეორე ნომრად".

...გარკვეული პრობლემები შეგვექმნა. ვორობეი ტრავმირებულია, გუსევი კი დისკვალიფიცირებული, ანუ ხელიდან გაგვიფრინდა ორი განაპირა ნახევარმცველი.

...ჩვეულებრივ ვემზადებით, არანაირი განსხვავება წინა მატჩებისგან. ბიჭებს ვუთხარი, რომ ქართველების გარდა, კიდევ ორი თამაში დაგვრჩა. თბილისში ჩავდივართ და არიქა, თუ არ მოვიგეთ, რა გვეშველებაო, ასე არაფერი გამოვა. ისე კი, რა თქმა უნდა, თბილისში მოსაგებად მივდივართ, მაგრამ არ მინდა, ზედმეტმა ფსიქოწნეხმა დაგვამძიმოს.

...შევჩენკოს დღეს არ უვარჯიშია. ვნახოთ, ხვალ როგორ მდგომარეობაში იქნება. ანდრეის კოჭი სტკივა, მაგრამ ძალიან უნდა თბილისში თამაში და ეს საკითხი, ალბათ, მატჩის დღეს გადაწყდება. აქვე იმასაც დავამატებ, რომ დღეს ფიოდოროვმა მიიღო მიკროტრავმა, მაგრამ 3 სექტემბრამდე გამოჯანმრთელდება.

...უკრაინის მუნდიალზე გასვლა ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორიც სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებაა — ეს იქნება კოლოსალური წარმატება ქვეყნისთვის.

...თბილისის ცარიელი ტრიბუნები ჩვენი პლუსი არაა, ფეხბურთი მაყურებლის გარეშე რა ფეხბურთია?! ისე, უკრაინის ჩემპიონატზე ძალიან ცოტა ხალხი დადის და ბიჭები ამას უკვე შეჩვეულები არიან. პირადად მე ცარიელი ტრიბუნების წინ არ მითამაშია და რა გითხრათ...

...ყაზახეთ — საქართველოს მატჩს ანდრეი ბიბა დაესწრო, თურქების თამაშიც ვნახეთ. ჩვენ მხოლოდ ქართველებზე არ ვართ ჩაიკლულები, ოთხ დღეში ხომ თურქებს ვმასპინძლობთ.

—კიევის „დინამოში" დებიუტი სწორედ თბილისში მქონდა 1969 წელს. ამდენი წელი გავიდა და ის მატჩი არ დამავიწყდება. საბჭოთა ის ჩემპიონატისას თბილისში ბევრი მეგობარი გავიჩინე, ამ ქალაქში ჩასვლა ყოველთვის მიხაროდა. ახლა საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და ძალიან მაინტერესებს, რა შეიცვალა მას შემდეგ. ქართული სამზარეულო ბერძნულს წააგავს, არ შეიძლება, არ მოგეწონოს. რა თქმა უნდა, ქართული ღვინოც მომწონს.

...ლვოვში 2:0 რომ მოვუგეთ ქართველებს, მაშინ ძალიან გაგვიჭირდა. პირველ ტაიმში არეულები ვიყავით და თამაშის დროს გუნდის გადაწყობა მომიწია. მას შემდეგ საქართველოს ნაკრების შემადგენლობა სანახევროდ შეიცვალა, ამიტომაც ანალიზია საჭირო. ჯერ არ ვიცი, დაცვის ცენტრსა თუ თავდასხმაში ვის დავაყენებ.

...ახალგაზრდული ნაკრებიდან რატომ არავის ვიძახებ? გვარები დამისახელეთ, თამაშობენ ისინი თავიანთ კლუბებში რეგულარულად? ერთ-ერთ ვებგვერდზე დაიწერა, ბლოხინი ფულს აკეთებს ნაკრებში გაძოძახებული ფეხბურთელებისგანო. აი, სადამდე მივიდნენ.

და ბოლოს, ოლეგ ბლოხინი მწვრთნელია და ფრთხილობს, სამაგიეროდ, მთელი უკრაინა უკვე ზეიმის მოლოდინშია და ეჭვი არ ეპარებათ, რომ ქართველებთან წარმატებას მიაღწევენ. კიევის, ლვოვის, დონეცკისა და დნეპროპეტროვსკის ქუჩებში დიდეკრანიანი ტელევიზორები დაამონტაჟეს, სადაც 3 სექტემბრისთვის ანშლაგს ელიან.

„ასეთი მასშტაბური სპორტული ამბავი უკრაინაში პირველად ხდება. სამწუხაროდ, გულშემატკივრები თბილისურ მატჩს ცოცხლად ვერ უყურებენ და ამიტომ ქუჩებში უნდა მოვაწყოთ ზეიმი. მატჩის დამთავრებისთანავე სუვენირები დარიგდება, ლატარია გათამაშდება, მერე კი დისკოთეკა გაიმართება" — ამბობს ამ ზეიმის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

ანდრეი შევჩენკომ ახლახან „ოქროს ფეხის" ანუ **Golden foot** ჯილდო მიიღო, თუმცაღა უკრაინელ სუპერვარსკვლავს ეს „ოქროს ფეხი" ოდნავ აწუხებს და მთელი დატვირთვით ვერ ვარჯიშობს. „ეგ არაფერი, საქართველოს ნაკრებთან 3 სექტემბერს აუცილებლად ვითამაშებ" — ამბობს ანდრეი, რომელმაც კიევში პრესკონფერენცია გამართა...

უკრაინელ ოქროს ოქროს ფეხი აწუხებს

ანდრეი შევჩენკო: საქართველო გადამწყვეტია!

— „ასკოლისთან" მატჩისას ისეთი საშინელი წვიმა იყო, ისიც კი გავიფიქრე, ხომ არ მეცურავა-მეთქი. იტალიაში ასეთ ამინდში არასოდეს მითამაშია, ფეხიც ცოტა გამიღიზიანდა.

— მაინც რა ტრავმაა, ქართველებთან სათამაშოდ ხელს შეგიშლის?

— კოჭი მტკივა, მაგრამ საქართველოსთან მატჩის გამოტოვებას არ ვაპირებ. ეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი, გადამწყვეტი შეხვედრაა, რადგან მოგების შემთხვევაში მუნდიალის საგზურს ვინაღდებთ. 3 სექტემბრამდე დროა, ორ დღეში მთელი ძალით დავიწყებ ვარჯიშს.

— რა იქნება მთავარი სიძნელე საქართველოსთან მატჩში?

— სერიოზული მომზადებაა საჭირო, უშუალოდ თამაშისას კი თავდაჯერებულები და მშვიდები უნდა ვიყოთ. ცუდი რა არის? ცარიელი ტრიბუნები. მერწმუნეთ, ეს არც ერთ ფეხბურთელს არ სიამოვნებს, თუმცა ამ შემთხვევაში გარკვეული პლუსები ჩვენია. რაკი გულშემატკივრები ვერ გაამხნევებენ, ეგებ ზოგიერთ ქართველ ფეხბურთელს თავისი შესაძლებლობების სრულად გამომჟღავნება გაუჭირდეს.

— როდესმე გითამაშიათ ცარიელი ტრიბუნების წინ?

— მხოლოდ კიევის „დინამოში" ყოფნისას.

— უკრაინის ნაკრებმა თბილისში რომც ვერ მოიგოს, კიდევ ორი მატჩი რჩება შინ და იქ შეუძლია მუნდიალზე წასასვლელად საჭირო ქულების აღება, თუმცა ალბათ მაინც საქართველოში გსურთ საქმის მოთავება.

— რა თქმა უნდა. კიდევ ვიმეორებ, ქართველებთან გადამწყვეტი მატჩი გვექნება. თუ მოვიგებთ, ოლეგ ბლოხინი დარჩენილ თამაშებში ახალ ფეხბურთელებს გამოცდის, რაც უფრო დაარეგულირებს შემადგენლობას.

— „მილანში" რამდენიმე ახალწვეულია და ისე ჩანს, თავდასხმაში უფრო დიდი კონკურენციაა, ვიდრე დაცვაში.

— თავისთავად, „მილანის" დაცვა აქამდეც უძლიერესი იყო. ძალიან გამიხარდა, რომ კახა კალაძე ჩვენთან დარჩა. მას ძალიან რთული პერიოდი ჰქონდა, როცა ახალ კლუბს ეძებდა, თან უმძიმდა „მილანიდან" წასვლა. კახას მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მცველად მივიჩნევ, აი, მალდინის კი პრობლემები აქვს — ჩვენთვის მისი არყოფნა, როგორც კაპიტნის და პიროვნების, დიდი დარტყმაა. იმედია, პაოლო მალე გამოჯანმრთელდება.

-- ამას წინათ უცნაური რამ თქვით: ამ სეზონში უფრო ცოტა გოლს გავიტან, ვიდრე წინაშიო. რატომ?

— ასე არ მითქვამს. უბრალოდ, ვიერი და ჯილარდინო ტარანის ტიპის ფორვარდები არიან, მე კი სიღრმიდან შეტევა მიყვარს. ეს არის და ეს. აი, „ასკოლისთან" ხომ გავიტანე.

— ამბობენ, მალდინის წასვლისთანავე „მილანის" კაპიტანი შევჩენკო გახდებაო. ასეა?

— არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი. თქვენ იცით, რა დამოკიდებულება მაქვს მალდინისთან — მინდა, მან დიდხანს ითამაშოს და კაპიტნად დარჩეს. ჩემთვის ისიც ძალიან ბევრს ნიშნავს, რომ უკრაინის ნაკრების კაპიტანი ვარ და ამით ვამაყობ.

— თქვენ განაცხადეთ, რომ შევჩენკო-რებროვის ბრწყინვალე ტანდემის აღდგენა გსურთ ნაკრებში. როგორ ფიქრობთ, საქართველოსთან ბლოხინი რებროვს დააყენებს?

— ეს ბლოხინის გადასაწყვეტია. წარმოუდგენლად გამიხარდა სერგეის ნაკრებში დაბრუნება. დანარჩენი კი იმაზეც არის დამოკიდებული, როგორ ფორმაში იქნება ის და როგორ ფორმაში ვიქნები მე.

— ესე იგი, ბლოხინთან რებროვზე არ გილაპარაკიათ?

— მე არ ვწყვეტ შემადგენლობის დაყენებას. ბლოხინს დიდ პატივს ვცემ და არც მას და არც საკუთარ თავს არასოდეს ვაკადრებ, რჩევები მივცე. ჩემი საქმე თამაში და გუნდზე ფიქრია.

— უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოსთან არ გილაპარაკიათ? ვგულისხმობთ თბილისურ მატჩს.

— მეგობრობა მეგობრობაა, ფეხბურთი კი სულ სხვა რამაა. არსებობს საქართველოს ეროვნული ნაკრები, არსებობს უკრაინის ეროვნული ნაკრები — ქვეყნებს შორის მატჩია და, რა თქმა უნდა, სერიოზულ ბრძოლაში ჩაივლის.

— დიდი შანსია, იუშჩენკოს თბილისურ მატჩზე დასწრება სურდეს. ამაზე არ გისაუბრიათ მასთან?

— ვფიქრობ, ბატონ პრეზიდენტს რომც არ შევხვდე და არც ვთხოვო, მაინც ჩამოვა თბილისში. რატომ? შესაძლოა, იმიტომ, რომ სწორედ საქართველოსთან ვითამაშობთ. იუშჩენკოსგან კი გამხნევება გვჭირდება. თუმცა ასი პროცენტით არ ვარ დარწმუნებული — მე ხომ არ ვიცი, რამდენად დატვირთული დღეები აქვს იუშჩენკოს.

— კალაძესთან არ გილაპარაკიათ ამ მატჩზე?

— არა. თამაშის წინასწარ ვარჩევა ლამაზი არ გამოდის. ერთი ვიცი, ქართველები მხოლოდ მოსაგებად ითამაშებენ. მათთვის ჯგუფის ლიდერის დამარცხება ბევრს ნიშნავს, ხოლო ჩვენთვის რას ნიშნავს, მგონი, ჩემზე კარგად იცით.

ჯოზეფ მიფსუდი: მე პოლიცია არ ვარ

გუშინწინ ვერშემდგარი პრესკონფერენცია გუშინ გაიმართა — ჟურნალისტების წინაშე უეფას აღმასკომის წევრი ჯოზეფ მიფსუდი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი წარდგნენ. სტუმარს თარჯიმნობაც ახალკაცმა გაუწია.

ახალკაცი: უეფამ ახლახან შეიმუშავა ახალი პროგრამა — TOP EXECUTIVE PROGRAM, რომელიც უეფას წევრი ეროვნული ფედერაციების პრეზიდენტებისა და გენმდივნებისთვისაა გათვალისწინებული. ეს პროგრამა უეფას წარმომადგენლების ვიზიტებს მოიცავს ეროვნულ ფედერაციებში და მიფსუდიც ამ მისიითაა ჩამოსული.

მიფსუდი: უეფა ვალდებულია, დაეხმაროს თავის ძლიერ, საუკეთესო და სუსტ წევრ-ასოციაციებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უეფას წევრების რიცხვი 50-მდე გაიზარდა და შევქმენით აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიურო, რომელიც უეფას ახალ წევრებს ფულითაც ეხმარებოდა და ცოდნის გაზიარებითაც. აი წლის შემდეგ ეს ბიურო დაიხურა და ყველა წევრი-ასოციაცია განვითარების ეროვნულ სისტემაში მოვაქციეთ. ახლახან კი ჩამოვაყალიბეთ TEP, რომელიც ჩვენს ყველა წევრ-ასოციაციის დახმარებას გულისხმობს. ამ პროგრამის მეორე ეტაპზე ეროვნული ასოციაციების პრეზიდენტები და გენმდივნები უეფას მიაგარ ოფისში ჩამოვლენ სემინარზე.

— მე აქ როგორც ინსპექტორი და პოლიციელი არ ჩამოვსულვარ, ჩვენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან გულწრფელი, გახსნილი საუბარი გვქონდა, რაც, ვფიქრობ, სასარგებლო იქნება თქვენი ფედერაციისთვის. ეს პროგრამა საკმაოდ ძვირადღირებულია, მაგრამ ფეხბურთი ევროპაში ყველაზე ძლიერი სპორტია და ასეთი ბალანსი რომ შევინარჩუნოთ, უეფას ძლიერი ეროვნული ასოციაციები უნდა ჰყავდეს და ეს ასოციაციები პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ თავიანთ ქვეყნებში ფეხბურთის განვითარებაზე.

— უეფა თითოეულ წევრ-ასოციაციას ყოველწლიურად ერთ მილიონ შვეიცარიულ ფრანკს აძლევს, „ჰეთ თრიკის" პროექტით კიდევ 2,5 მილიონს ყოველ ოთხ წელიწადში, ამას ემატება მინი-მოედნების ასაშენებლად შემუშავებული პროგრამა, ხოლო რაც შეეხება TEP-ის ფინანსებს, ეს კონფიდენციალურია.

— ფეხბურთს ძალიან სჭირდება მასმედიის დახმარება, ფეხბურთისადმი ხალხის მხარდაჭერის საუკეთესო კრიტერიუმი სწორედ მედიაა. მედია საფეხბურთო ოჯახის წევრია და ეროვნული ასოციაციებისთვის პარტნიორი უნდა იყოს. ფეხბურთი მხოლოდ სპორტი არაა, ის სოციალურ ასპექტებსაც მოიცავს.

დავით თავართქილაძე

ლაშა ჯაკობია მეტალისტის კაპიტანია

ლაშა ჯაკობიამ ხარკოვის „მეტალისტში" გოლებს მოუხშირა, გუნდის უდავო ლიდერად ითვლება და უკრაინული პრესაც ხშირად აქებს. ამ დროს კი, 25 წლის თავდამსხმელს ზედიზედ მეორე მატჩია, საქართველოს ნაკრებში არ იძახებენ.

გუშინ ჯაკობია „მეტალისტის" კაპიტნად აირჩიეს — მან ეს „მემკვიდრეობა" რუს ევგენი ვარლამოვისგან მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ალექსანდრე იაშვილის შემდეგ ლაშა მეორე ქართველი ლეგიონერია, წლეულს კაპიტნობა რომ არგუნეს.

ილია ნანოგაფფვილი

ქუთაისის ტორპედოს გულშემატკივარია გულისტკივილი

რამდენიმე დღის წინ „სარბიელში" გამოქვეყნდა ინტერვიუ ქუთაისის „ტორპედოს" აქციათა 40 პროცენტის მფლობელ თურქ ბიზნესმენ იბრაგიმ ართვინლისთან, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ კლუბი მართლაც დატოვა. ეს გახლდათ პირველი ოფიციალური განცხადება, რომლის თანახმადაც „ტორპედოში" ყველაფერი წესრიგში ვერ იყო...

გუშინ კი ქუთაისიდან ასეთი სახის განცხადება მივიღეთ...

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს იმერეთის მხარეში ბატონ აპაკი ბობოხიძეს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ნოდარ ახალკაცს

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერ არასამთავრობო ორგანიზაციებს მიგვაჩნია, რომ საფეხბურთო კლუბი „ტორპედო" წარმოადგენს ქალაქის სახეს და ღირსებას, რომელიც არაერთხელ უსახელებიათ გუნდის ღირსეულ წარმომადგენლებს. კლუბი ყოველთვის წარმოადგენს ქუთაისს და ქუთაისელებს საქართველოს და საერთაშორისო მასშტაბით.

ამჟამად კი, საფეხბურთო კლუბ „ქუთაისის ტორპედოში" შექმნილია კრიზისული სიტუაცია, კლუბი „დაღუპვის" პირასაა მისული, მდიდარი ტრადიციების, ისტორიის მქონე გუნდი აუტსაიდერებს შორის იმყოფება და პერსპექტივაც კატასტროფულია.

გუნდს მართავს არაკომპეტენტური, არაპროფესიონალი და ბუნდოვანი წარსულის მქონე პიროვნება — გია ხურციძე, მეტსახელად „მანათა". გუნდს, აღნიშნული პიროვნებიდან გამომდინარე, არ აქვს მოტივაცია და იმყოფება ფინანსურად გაუსაძლის მდგომარეობაში. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის სახით წარმოადგენს „მანათას" რეკომენდატორს, რაც კიდევ უფრო ძაბავს არსებულ მდგომარეობას.

აღსანიშნავია, რომ გუნდით დაინტერესებას გამოხატავს რამდენიმე უცხოელი ბიზნესმენი, რომლებიც მსხვილ ინვესტირებას გეგმავენ და რადიკალურად პოზიტიურ ცვლილებებს განახორციელებენ კლუბის აღმავლობის მიზნით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაუყოვნებლივ განხორციელდეს კლუბის პრეზიდენტის შეცვლა და გუნდი გადაეცეს პროფესიონალ და ღირსეულ მფლობელს.

გთხოვთ, ქალაქ ქუთაისის მოსახლეობის და კლუბის გულშემატკივართა ინტერესებიდან გამომდინარე, პირად კონტროლზე აიყვანოთ გუნდში მიმდინარე პროცესები და ხელი შეუწყოთ არსებული სიტუაციის გამოსწორებას.

დაინტერესებულ უცხოელ ბიზნესმენში იგულისხმება ვინმე რომანოვი, რომელიც რომან აბრამოვიჩის წარმომადგენელია.

„მანათას" კლუბიდან წასვლას მოითხოვენ არა მარტო ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები, არამედ სამწვრთნელო შტაბი და ზოგიერთი ფეხბურთელებიც.

„მანათას" ბრალს დებენ, რომ მას არც ერთი სერიოზული შენაძენი არ განუხორციელებია, არც ხელფასი დარიგებულა კლუბში და საფეხბურთო ინვენტარიც არ განუახლებია. მოითხოვენ, რომ მას ჩამოერთვას „ტორპედოს" აქციათა საკონტროლო პაკეტი, რადგან მას ფეხბურთისა არაფერი გაეგება.

თუ ეს მიმართვა არ გაჭრის, ქვემოთჩამოვლილი ორგანიზაციები აპირებენ, რომ საქმის კურსში ააყენონ ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

„ტორპედოს" გულშემატკივართა კავშირი (გ. გაბიძაშვილი)

საქართველოს სპორტის განვითარების კავშირი „სარანგი" (დ. აბულაძე)

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია — იმერეთის ფილიალი (კ. გვანცელაძე)

სტუდენტთა ასოციაცია „პროგრესი" (გ. კილაძე)

„რეფორმების მხარდამჭერი ასოციაცია" (ს. ხუჯაძე)

თვალ-თვალი



შოთა და უდიდებულესობა

გაიოზ დარსაძე, ალბათ, საკუთარ სურვილს იკმაყოფილებს და შოთა არველაძეს ეროვნულ ნაკრებში არ იწვევს. მაგრამ სურვილების დაკმაყოფილების ამბავში არც არველაძეა უქმად — „ამსტერდამ არენას" ერთ-ერთ დარბაზში შოთა თავისი ბავშვობის კერპს შეხვდა და ჩაეხუტა — მისი უდიდებულესობა დიეგო არმანდო მარადონა ამ ცოტა ხნის წინ სტუმრობდა ჰოლანდიის დედაქალაქს.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
საქართველოს XVII ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე
აგვისტოს მიმოხილვა

არჩევანი ჩვენი, განსჯა თქვენი

მოგწონს თუ არ მოგწონს, ჩვენია საქართველოს ჩემპიონატი. ბრაზილია და საფრანგეთი არ გვაჩუქებენ ფეხბურთელებს, ისევ აქ უნდა აღიზარდნონ ტალანტები და რაც ჩვენია, მოდით, იმათ დავაკვირდეთ და მოვუფრთხილდეთ. „სარბიელმა" გადაწყვიტა, ყოველთვიურად გამოავლინოს საუკეთესო გუნდი, მწვრთნელი, ფეხბურთელი, სიმბოლური ნაკრები.

ამ ოთხი ნომინაციიდან ორში არჩევანი გაგვიჭირდა, განსხვავებულ აზრებსა და კამათს რა გამოლევს, მაგრამ ესეც ხომ ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია.

მაშ ასე, აგვისტოს გამორჩეულები: გუნდის გამოვლენას რა უნდა, „სიონი" ლიდერია და მისმა მწვრთნელმა ხვიჩა ქასრაშვილმა ვითომ რა დააშავა? სიმბოლური ნაკრები „სარბიელის" მიერ შედგენილი ტურების სიმბოლურიდანვე შეიქმნა, ხოლო ფეხბურთელი... ვფიქრობთ, „ამერის" არცთუ ურიგო სტარტი 33 წლის მცველ ვახტანგ ხვადაგიანის დიდი დამსახურებაა.

ბადრი კბილაძის ფოტო

ამერელი ვახტანგ ხვადაგიანი (მარცხნივ) „სარბიელის" ყოველთვიურად სიმბოლურ ნაკრებში ყველაზე მეტჯერ მოხდა



ბადრი კბილაძის ფოტო

აგვისტოს უკეთესი

„ამერის" ცენტრალური მცველი *ვახტანგ ხვადაგიანი* ერთადერთია, ვინც ოთხივე ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა და, ცხადია, თვის ფეხბურთელიც ისაა. ხვადაგიანს ბლიც-ინტერვიუ ჩამოვართვით.

— რაც „ამერმა" ამ ოთხ ტურში ითამაშა, მისი შესაძლებლობების რამდენი პროცენტია?

— ორმოცდაათი, უმაღლესი ლიგის დებიუტანტები ვართ და ჩვენთან რამდენიმე გამოუცდელი ფეხბურთელია.

— ყველაზე უფრო ვისთან გაგიჭირდათ თამაში?

— „დინამოსთან".

— აგვისტოს საუკეთესო ფეხბურთელად ვის დაასახელებდი?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავს შევიკავებდი.

— თქვენთვის გუნდა ჩემპიონატი როგორ მოგწონს?

— საერთოდ, ათგუნდიანი ჩემპიონატის მომხრე ვარ, ახლა კი დასკვნების გამოტანა ნაადრევია, თუ ყველა გუნდი ნორმალურად ჩააბარებს სეზონს და ბოლომდე იბრძოლებს, კარგი იქნება.

დავით თავართქილაძე

გუნდი	ქალაქი/სტადიონი	თამაშების რაოდენობა	საშუალო შეფასება
ამერი	თბილისი/ამერი	2	9,1
ტორპედო	ქუთაისი/ტორპედო	3	8,0
კახეთი	თელავი/გ. ჩოხელი	2	7,8
ზესტაფონი	ქუთაისი/ტორპედო	1	7,6
სოხუმი	თბილისი/შევარდენი	2	6,9
თბილისი	თბილისი/ოლიმპი	2	6,9
ბორჯომი	თბილისი/ოლიმპი	2	6,8
სიონი	ბოლნისი/თ. სტეფანია	2	6,8
დინამო	თბილისი/ეროვნული	1	6,5
ლოკომოტივი	თბილისი/მ. მესხი	3	6,4
სპარტაკი	თბილისი/შევარდენი	2	6,4
კოლხეთი	ფოთი/ფაზისი	2	6,1
ვიტ ჯორჯია	მცხეთა/არმაზი	2	6,1
ბათუმი	ბათუმი/დინამო	2	6,0
დილა	გორი/თ. ბურჯანაძე	2	5,9
ცხინვალი	გორი/ქართლი	2	4,9

სიმბოლური ნაკრები

- **გიორგი მეგრელაძე** — *დინამო*
- **ჯაბა დვალი** — *სიონი*
- **დავით სირაძე** — *ლოკომოტივი*
- **რევაზ გეწაძე** — *ბორჯომი*
- **ალეკო კაიდარაშვილი** — *ამერი*
- **დავით გოლძვაძე** — *სიონი*
- **პავლე დათუნაიშვილი** — *ვიტ ჯორჯია*
- **დავით ივედაშვილი** — *ვიტ ჯორჯია*
- **ვახტანგ ხვადაგიანი** — *ამერი*
- **თენგიზ ჩიკვილაძე** — *სიონი*
- **ზურაბ ძვირანია** — *ზესტაფონი*

გუნდი: სიონი

მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი

აგვისტოს ანგარიშები

პირველი ტური

30 ივლისი, შაბათი
დილა 1:0 სპარტაკი
ბათუმი 1:0 ბორჯომი
კოლხეთი 1:0 ვიტ ჯორჯია
სოხუმი 0:2 ცხინვალი
კახეთი 1:3 დინამო
31 ივლისი, კვირა
თბილისი 0:1 ზესტაფონი
1 აგვისტო, ორშაბათი
ტორპედო 0:1 ამერი
ლოკომოტივი 1:1 სიონი

მეორე ტური

6 აგვისტო, შაბათი
ცხინვალი 0:1 კახეთი
ვიტ ჯორჯია 2:2 სოხუმი
ბორჯომი 1:0 კოლხეთი
სპარტაკი 0:0 ბათუმი
სიონი 2:0 დილა
ტორპედო 0:0 ლოკომოტივი
7 აგვისტო, კვირა
ამერი 2:0 ზესტაფონი
დინამო 1:0 თბილისი

მესამე ტური

19 აგვისტო, პარასკევი
სოხუმი 1:3 ბორჯომი
20 აგვისტო, შაბათი
ლოკომოტივი 3:0 ამერი
დილა 2:0 ტორპედო
ბათუმი 0:1 სიონი
კოლხეთი 1:0 სპარტაკი
ზესტაფონი 1:0 დინამო
კახეთი 0:1 ვიტ ჯორჯია
21 აგვისტო, კვირა
თბილისი 0:2 ცხინვალი

მეოთხე ტური

27 აგვისტო, შაბათი
სპარტაკი 0:1 სოხუმი
ცხინვალი 0:2 ზესტაფონი
28 აგვისტო, კვირა
ამერი 1:1 დინამო
ვიტ ჯორჯია 2:1 თბილისი
ბორჯომი 2:1 კახეთი
სიონი 2:0 კოლხეთი
ტორპედო 0:1 ბათუმი
29 აგვისტო, ორშაბათი
ლოკომოტივი 2:1 დილა

ბომბარდირები

3-დვალი	*სიონი*
2-მეგრელაძე	*დინამო*
მარცვალაძე	*ვიტ ჯორჯია*
რუსია	*სოხუმი*
ს. ბურნაძე	*ბორჯომი*
ბ. ჩიტაია	*ცხინვალი*
ქუთათელაძე	*კოლხეთი*
კ. ხანდუშვილი	*დილა*
სირაძე	*ლოკომოტივი*
დოლიძე	*სიონი*

სიონი	4	3	1	0	6:1	10
ბორჯომი	4	3	0	1	6:3	9
ზესტაფონი	4	3	0	1	4:2	9
ლოკომოტივი	4	2	2	0	6:2	8
დინამო	4	2	1	1	5:3	7
ვიტ ჯორჯია	4	2	1	1	5:4	7
ბათუმი	4	2	1	1	2:1	7
ამერი	4	2	1	1	4:4	7
ცხინვალი	4	2	0	2	4:3	6
დილა	4	2	0	2	4:4	6
კოლხეთი	4	2	0	2	2:3	6
სოხუმი	4	1	1	2	4:7	4
კახეთი	4	1	0	3	3:6	3
სპარტაკი	4	0	1	3	0:3	1
ტორპედო	4	0	1	3	0:4	1
თბილისი	4	0	0	4	1:6	0

მარჩელო არ მარჩიელობს

ელოდეთ სექტემბერს, მოუგეთ სქოთებს

მარჩელო ლიპის (მარჯვნივ) ანტონიო კასანოს მომავლისა სჯერა



ალესანდრო დელ პიერო მრავალმზრივი მოთამაშეა

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ საზოგადოებას განუმარტა, რატომ ამჯობინა ანტონიო კასანოს ალესანდრო დელ პიერო. მოგეხსენებათ, სერია A-ში, ამ უქმეებზე, კლუბების მწვრთნელებმა არც კასანო ათამაშეს და არც დელ პიერო, მაგრამ „სკუადრა აძურას" თავკაცმა შოტლანდიასა და ბელარუსთან ბრძოლისთვის, რომაელს იუვენტუსელი ამჯობინა.

„კასანოს ამ ზაფხულში ფაქტობრივად არ უთამაშია, — ბრძანა ლიპიმ, — დელ პიერომ კი მართალია ცოტა ითამაშა, მაგრამ რაც კი მოედანზე დაჰყო კარგი იყო. ისე კი, თუ გახსოვთ, კასანოსთან დაკავშირებით ადრეც ვთქვი, რომ ის პრობლემებს აუცილებლად დაძლევს. ჩემი ვარაუდით, მისი მდგომარეობა სექტემბერში უნდა შეიცვალოს, ოღონდ ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ სადღაც კულისებს მიღმიდან მაქვს ინფორმაცია და ვიცი რა მოხდება."

სამაგიეროდ, რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ კასანო სათადარიგოთა სკამზე ჯდომას განაგრძობს, კარგად იცის 21 წლამდელი „აძურას" ხელმძღვანელმა კლაუდიო ჯენტილემ.

„ფაქტია, თუ კასანო რეგულარულად არ ითამაშებს, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდება."

თუმცა, ჯენტილეს თავი დავანებოთ და ლიპის დავუბრუნდეთ — 57 წლის სტრატეგოსმა „იუვენტუსში" თავის ოდინდელ შეგირდსა და საყვარელ მოსწავლეზე, დელ პიეროზე თქვა:

„ალექსს აბსოლუტურად ვენდობი და დარწმუნებული ვარ, რომ ახლა საუცხო ფორმაშია. თანაც, თუ მისი ფრთაზე გამწესება მომინდება, ვიცი, რომ პრობლემა არ მექნება, ვინაიდან ეს ვარიანტი კლუბში, წლების წინ გამომიცდია."

ლიპიმ თავის ყოფილ მოთამაშეთაგან კიდევ ერთი, „ლაციოს" კარის მცველი ანჯელო პერუცი გამოიძახა.

„პერუცისთვის კარი ყოველთვის ღია მქონდა. ანჯელო ის ელემენტია, რომელიც რაგინდა რა გუნდს დიდებულ ადამიანურ და საფეხბურთო თვისებებს მატებს. მერედა მას ქარიზმა აქვს. ბოლო თხუთმეტი წელიწადია მასზე და ჯიჯი ბუფონზე დიდი მეკარე მსოფლიოში არ მინახავს."

მოახლოებული ორი შესარჩევი თამაშიდან ბოლო „სკუადრა აძურას" გლაზგოში, „ჰემდენ პარკზე" აქვს. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე კამპანიის პირველი მატჩი იტალიამ შოტლანდიას 2:0 მოუგო.

„ამჯერად სრულიად სახეცვლილ სქოთებს ველი. ვფიქრობ მეორე თამაშს, „სან სიროზე" გამართულ პირველ შეხვედრასთან საერთო არაფერი ექნება, მაგრამ მეორე მხრივ ჩვენთვის უკვე დროა სხვებისთვის ანგარიშის გაწევას თავი დავანებოთ და საკუთარი ფეხბურთი უკანმოუხედავად ვითამაშოთ. ბოლო თვეების განმავლობაში ჩემი გუნდის მენტალიტეტი შეიცვალა. დღეს საკუთარი ძალებისა ურყევად გვწამს. ეჭვი არ მეპარება, რომ საუკეთესო შედეგების მიღწევა შეგვიძლია" — დააგვირგვინა ლიპიმ.

აქვე გთავაზობთ იტალიის ნაკრების შემადგენლობას შოტლანდიასთან მატჩის წინ:

მეკარეები: დე სანტისი („უდინეზე"), პერუცი („ლაციო");

მცველები: კანავარო, ძამბროტა („იუვენტუსი"), ბარძალი, გროსო, ძაკარდო („პალერმო"), ნესტა („მილანი"), მატერაცი („ინტერი");

ნახევარმცველები: გატუზო, პირლო („მილანი"), დე როსი („რომა"), კამორანეზი („იუვენტუსი"), ესპოზიტო („კალიარი"), მესტო („რეჯინა");

თავდამსხმელები: ჯილარდინო, ვიერი („მილანი"), დელ პიერო („იუვენტუსი"), ტონი („ფიორენტინა"), იაკინტა („უდინეზე");

პაპუნა კედია





ატილიო ტესერი და დანიელე არიგონი

შეშრაცხყოფილი ტესერი და გაოცებული არიგონი

სერია A-ში ოდენ ერთი ტური ჩატარდა და პირველი მწვრთნელი უკვე შეიწირა. ეს უიღბლო "კალიარის" დამრიგებელი ატილიო ტესერი გახდა, ვინაც ამ პოსტზე ისედაც ახალი დანიშნული იყო.

ეს ამბავი კვირას მოხდა, „კალიარის" „სიენასთან" დამარცხებიდან რამდენიმე საათში, გუშინ კი სარდინიელებს ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს — დანიელე არიგონი, კაცი, რომელიც ამ გუნდს წინა სეზონში წვრთნიდა, მე-12 ადგილზე გაიყვანა და სეზონის ბოლოს ოჯახური მიზეზების გამო გადადგა.

ახლა კი არიგონი ამბობს, ოჯახური პრობლემები მოვაგვარე, თუმც ტესერის გაშვება და პოსტის შემოთავაზება მოულოდნელი იყო.

— გაოგნებული დავრჩი, როცა კვირას ღამით დამირეკეს და გუნდში დაბრუნება შემომთავაზეს — აღიარა არიგონიმ — ორშაბათს ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრეთ და თანხმობა განვაცხადე.

ატილიო ტესერის გაშვების მიზეზი კი კლუბის სპორტულმა დირექტორმა ნიკოლა სალერნომ ასე ახსნა: „ტესერმა გუნდში წესრიგის დამყარება ვერ შეძლო, ერთიანობა არ იყო. ასეთ პირობებში კი კარგს ვერაფერს მივაღწევდით. ვიგრძენით, რომ სიტუაცია მომავალში კიდევ უფრო დამძიმდებოდა და ამიტომ ტესერთან სასწრაფოდ განშორება გადავწყვიტეთ. გვესმის, რომ იგი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, მაგრამ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე სხვა გამოსავალი არ გვქონდა".

სხვათა შორის, ატილიო ტესერს „კალიარის" მატჩების დროს სათადარიგოთა სკამზე ჯდომის ნებაც არ ჰქონდა. საქმე ის არის, რომ იტალიური კანონებით, მწვრთნელს ერთ სეზონში ორი სხვადასხვა გუნდის გაწვრთნის უფლება არ აქვს. ტესერი კი ამ ზაფხულში „ტრევიზოს" მწვრთნელი იყო სერია B-ს საპლეიოფო მატჩებში.

კოტე კეკელია

ბედნიერი მიკოლი

„იუვენტუსის" ფორვარდი ფაბრიციო მიკოლი ერთი სეზონით „ბენფიკას" ფეხბურთელი გახდა. იტალიელი გუშინ ლისაბონში ჩავიდა და თორმეტთვიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ჩვენ შევთანხმდით, რითაც ძალიან ბედნიერი ვარ" — თქვა მიკოლიმ. ლისაბონელებმა 850 ათასი გირვანქა გადაიხადეს და მომავალ ზაფხულს სამ მილიონ 600 ათასსაც თუ დამატებენ, ფეხბურთელის კონტრაქტს გამოისყიდიან.

„ბენფიკაში" გადავიდა ინტერელი გეორგიოს კარაგუნისიც, რომელმაც პორტუგალიურ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. რაკი „ინტერი" და „იუვე" ვახსენეთ, აქვე ვთქვათ, რომ ტურინელ ჯანლუკა ძამბროტას „ნერო აძური" საჩემპიონო გუნდად მიაჩნია.

„ძალიან შთამბეჭდავად დაიწყეს სეზონი — განაცხადა ძამბროტამ — ჩვენ არავისი გვეშინია, თუმც სკუდეტოსთვის ბრძოლა ამ სეზონში გაცილებით დაძაბული იქნება, ვიდრე შარშან იყო".

ვაჟა ხუციშვილი



ფაბრიციო მიკოლი და გეორგიოს კარაგუნისი თანაგუნდელები გახდნენ

პორტილიო იჯარით ბელგიაში



მადრიდის „რეალის“ თავკაცობამ სამეფო გუნდის სათადარიგო მოიერიშე ხავიერ პორტილიო ამჯერად ბელგიურ „ბრიუგეში“ გააგზავნა. შეგახსენებთ, რომ პორტილიო გასულ სეზონში „ფიორენტინაში“ გახლდათ იჯარით, სადაც თავი ვერ გამოიჩინა და ფერნანდო მორიენტესის „ლივერპულში“ წასვლის შემდეგ ისევ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დაბრუნდა.

გუშინ კი ესპანელმა ფორვარდმა „ბრიუგესთან“ ასევე საიჯარო შეთანხმებას მოაწერა ხელი. ხავიერი ბელგიაში ერთ სეზონს გაატარებს და ანაზღარუებად მილიონ ასი ათას ევროს მიიღებს. მოგეხსენებათ, „ბრიუგე“ ჩემპიონთა ლიგის მონაწილეა და პორტილიოც გათამაშების A ჯგუფში „ბაიერნს“, „იუვენტუსსა“ და ვენის „რაპიდს“ უნდა შეერკინოს. რაც შეეხება ამავე ასპარეზობაზე მადრიდის „რეალთან“ სავარაუდო შეხვედრას „გალატიკოსებმა“ ეს ყველაფერი წინასწარ განსაზღვრეს და „ბრიუგესთან“ კონტრაქტში განსაკუთრებული მუხლი შეიტანეს, რომლის მიხედვითაც ხავიერ გარსია პრტილიოს თავისი ძირითადი გუნდის ესე იგი „რეალის“ წინააღმდეგ თამაში ეკრძალება. გახსოვთ ალბათ, ორი წლის წინ „მონაკოში“ მყოფმა მორიენტესმა მშობლიურ სამეფო კლუბს რა ჯოჯოხეთიც დააწია...

ლადო ხომერიკი



ვილფრედ ბუმა

ეინდჰოვენი პრემიერლიგაში გადავიდა

ტოტენჰემი კორეულად იყივლებს

ბოლო სატრანსფერო დღეს „ტოტენჰემმა“ კარგად ივაჭრა. პსვ-დან კორეელი პიო იუნგ ლი შეიძინა, „ნიუკასლიდან“ — ჯერმენ ჯენასი, ფრანგულ „რენს“ კი შვედი მცველი ერიკ ედმანი მიჰყიდა. კლუბის პატრონმა დანიელ ლევინ გუშინწინ იტალიაში ჩასვლაც მოასწრო და „ლივორნოს“ კრისტიანო ლუკალერი სთხოვა.

ჯერ ახალშეძენილებზე ვიქვათ. 28 წლის კორეელი ლი თვისტომი პარკის გზას დაადგა, რომელიც ასევე პსვ-დან პრემიერლიგაში, „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა. „ტოტენჰემმა“ ფეხბურთელის სანაცვლოდ დაახლოებით ორი მილიონი ევრო გადაიხადა.

გაცილებით ძვირი, 9 მილიონი გირვანქა დაუჯდათ ჯერმენ ჯენასი. „ნიუკასლში“ სკოტ პარკერისა და ენრეს მისჯლამ ჯენასს ძირითად შემადგენლობაში ადგილი დააკარგვინა.

რაც შეეხება შვედ ერიკ ედმანს, იგი შარშან ზაფხულს გახდა ტოტენჰემელი. 31 მატჩში ითამაშა, მაგრამ ლონდონელები მაინც შეელავნენ და „რენში“ გაუშვეს. ფრანგულ კლუბს დაცვაში ღრიჭოები გაუჩნდა და ედმანმა უნდა ამოავსოს.

კიდევ ერთი პსვ-ელი, ვილფრედ ბუმა, „ასტონ ვილას“ ფეხბურთელი გახდა. 27 წლის ჰოლანდიელის ფასი 3 მილიონ 500 ათასი გირვანქაა. „პრემიერლიგა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა — თქვა ბუმამ — „ასტონ ვილა“ ხახელიანი გუნდია და მიხარია, რომ ამ კლუბის მაისურას მოვიკრავ“.

ვაჟა ხუციშვილი

ორი წლის წინ დიეგო მილიტო, მაშინ, არგენტინული „რასინგის“ ფორვარდი, აველანედას პატაგონიურ დერბიში საკუთარმა ძმამ, „ინდეპენდიენტეს“ გაბი მილიტომ მწარედ მოცელა საჭიდაო ილეთით

სარაგოსას ახალი მილიტო

დიეგო მილიტო

უმცროსი ძმის აგრესიულობით გაცოფებული დიეგო მატჩის არბიტრთან მიეჭრა და გაბრიელისთვის არც მეტი, არც ნაკლები, წითელი ბარათის აფრიალება მოსთხოვა...

„არ ვიცი, იმ ეპიზოდში ბიჭებს რა დაემართათ. ისე კი დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს დედას მაინც არ შეაგინებდნენ“ — თავისებურად იხუმრა ფეხბურთელების მამამ, უფროსმა მილიტომ, როცა თამაშის მერე მასთან ჟურნალისტები მივიდნენ და მომხდარზე კომენტარი სთხოვეს.

ეს ყველაფერი კი იმიტომ გავიხსენეთ, რომ გუშინ იტალიური „ჯენოას“ ექსმოიერიშე დიეგომ გაბრიელის ამჟამინდელ კლუბთან, ესპანურ „სარაგოსასთან“ გააფორმა ორწლიანი საიჯარო კონტრაქტი. „სარაგოსამ“ „ჯენოას“ 1,5 მილიონი ევრო გადაუხადა, ხოლო თავად ფორვარდი მილიტო „ლა რომარედაზე“ ბურთაობისთვის სეზონში 1,8 მილიონ ევროს მიიღებს.

„ამ ტრანსფერის შემდეგ გუნდი მთლიანად შეივსო. დარწმუნებული ვარ, დიეგო თავდასხმაში ისეთივე სიკეთეს მოგვიტანს, როგორიც მისმა ძმამ „სარაგოსას“ უკანა ხაზის სასარგებლოდ შეძლო“ — კმაყოფილებით აღნიშნა არაგონელთა დამრიგებელმა ვიქტორ მუნიოსმა მედიასთან საუბარში...

ლადო ხომერიკი

გერმანული აბუდა-უბდა

ბუნდესლიგამ ბრაზილიელები მოხვეტა

ბუნდესლიგის კლუბებმა სატრანსფერო ფანჯრის მიჯახუნებამდე ახალ-ახალი ფეხბურთელების მოყუჩება მოასწრეს.

„ვოლფსბურგმა“ „კორინთიანსიდან“ 19 წლის ფორვარდი აბუდა 300 ათას ევროდ შეიძინა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. „ვოლფსბურგის“ მენეჯერი თომას შტრუნელი თვითონ ჩავიდა ბრაზილიაში ფორვარდის სანახავად და გარიგება გაჩარხა. „ძვლებისთვის“ ეს უკვე მერვე საზაფხულო შენაძენია კლუბმა ტრანსფერებში 10 მილიონი ევრო დახარჯა.

მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ ბრაზილიელი მეგოლე კაე „პონტე პრეტას“ წაჰგვარა. 23 წლის ფორვარდმა გლადბახელებთან სამწლიანს მოაწერა ხელი. „ბორუსიას“ თავდამსხმელი მარეკ ჰაინცი „გალათასარაიში“ წავიდა. თურქებმა ჩეხის სანაცვლოდ 2 მილიონი ევრო გაიმეტეს.

ბერლინის „ჰერტამ“ ბელგრადის „პარტიზანიდან“ მარკო პანცელიჩი ერთი წლით ითხოვა. 26 წლის შემტევმა სერბმა გასულ სეზონში 20 გოლი გაიტანა. „მაინცმა“ კი, რომელიც ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძვის, ბრაზილიის მეორე დივიზიონის კლუბ „იტუანოში“ რომელო მარკოს ანტონელის მიაგნო. 23 წლის რომელო ფორვარდია და „მაინცში“ სეზონის ბოლომდე დარჩება.

ვაჟა ხუციშვილი

გაბრიმ (მარცხნივ) ახლა მუხლი იტკინა

გაბრი კვლავ ლაზარეთში

ბარსელონელი გაბრის უიღბლო „სალაზარეთო“ ეპოპეა გრძელდება — კატალონიელთა ნახევარმცველმა, რომელიც შარშანდელ სეზონში მძიმე ტრავმის გამო რვა თვის განმავლობაში თამაშებს ტრიბუნიდან უყურებდა, სამშაბათს გუნდის ვარჯიშზე მუხლი ხელახლა იტკინა და...

„გაბრი აქტიურ ფეხბურთს სულ მცირე, 6 კვირით მაინც უნდა ჩამოცილდეს. ტრავმა ძალიან სერიოზულია და თუ სათანადოდ არ მიეხედეთ, შეიძლება მისი კარიერის დასრულების მიზეზიც გახდეს“ — უთხრა მედიას დოქტორმა რამონ კუგამ, „ბარსას“ სამედიცინო შტაბის წევრმა.

„თავს უკიდურესად მძიმედ ვგრძნობ. ამას ფიზიკური ტკივილის გამო არ გეუბნებით, ყველაზე ცუდი ის არის, რომ ბედი არ მწყალობს. რა გავწყობა, ძველი ტრავმა ხომ გადავიტანე და ამასაც გავუძლებ. ახლა გამოჯანმრთელებაზე ფიქრი და ზრუნვაა საჭირო“ — განაცხადა თავად გაბრიელ გარსია დე ლა ტორემ.

კატალონიელმა ნახევარმცველმა ბარცხენა მუხლი ოთხგუნდელ ესკერსთან ბურთისკენ ბრძოლაში დაიმტვრა.

ლადო ხომერიკი

ბესტისთვის ბესტი ოუენია



„მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ჯორჯ ბესტმა თქვა, მაიკლ ოუენი დევიდ ბექემზე უკეთესიაო.

„ოუენი დიდებულია, ბექემი კი — კარგი. „რეალი“ შეცდა, რომ მაიკლი „ნიუკასლს“ მიჰყიდა და ის მალე ამაში დარწმუნდება. ოუენი სწრაფია და ბრწყინვალე მეგოლეა. ბექემსაც აქვს თავისი კოზირი, მაგრამ მაიკლთან ახლოს ვერ მივა. დევიდი უფრო საგაზეთო „ვარსკვლავია“ და არა საფეხბურთო. მადრიდელებმა იმიტომ იყიდეს, რომ კლუბისთვის ფული მოაქვს. არ მესმის, რას ერჩოდა ოუენს ვანდერერელი ლუშემბურგო. მწვრთნელებმა ზოგჯერ თვითონაც არ იციან, რას აკეთებენ და ფეხბურთელსაც ვერ უხსნიან“.

ვაჟა ხუციშვილი

ინგლისი

ჩემპიონატი

VI ტური

ვულვზი 3:1 ძპრ

1:0 კორტი (8), 1:1 გალენი (11), 2:1, 3:1 კორტი (22, 90)

რეკლამა

სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

რობინიო ხარბი არ არის

რობინიო „რეალშიც“ იმხიარულებს

„ამას წინათ ბრაზილიურმა პრესამ გამაკრიტიკა, თითქოს მადრიდის „რეალში“ მარტო ფულის გულისთვის გადავედი. ეს სიმართლე არ არის. ჯერ ის გამოიძიონ, „რეალამდე“ „არსენალი“, „ინტერი“ და „ბარსელონა“ რამდენს მთავაზობდნენ და „ხარბ რობინიოზე“ მერე ილაპარაკონ. სამივე ამ კლუბს ჩემთვის მადრიდელებზე მეტი შეეძლო მოეცა, მე კი მაინც „რეალი“ ვარჩიე“ — განაცხადა „სამეფო კლუბის“ ახალმა ვარსკვლავმა რობინიომ UEFA.COM-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

რობსონ დე სოუზა, რომელსაც „კადისთან“ ესპანურ პრიმერაში ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა, აპირებს, მადრიდში დიდხანს დარჩეს და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად იქცეს.

„რეალი“ ჩემთვის ყოველთვის საოცნებო გუნდი იყო და აქ მარტო ერთი სეზონით არ მოვსულვარ. ჩემი მიზანია, მომავალი 4 წლის განმავლობაში ყველა ჯილდო მოვიგო და მსოფლიოს ნომერ პირველი ფეხბურთელი გავხდე“ — ამაყად აღნიშნა „სანტოსის“ ყოფილმა თავდამსხმელმა.

„ახალი პელე“ თავის გალაქტიკოს თანაგუნდელებს ხუმრობით ემუქრება, გაგაწვალებთო.

„სანტოსში“ ბიჭები ალბათ უჩემოდ მოიწყენენ. აქ, „ბერნაბეუზე“, ჯერჯერობით ძალიან „ახალი“ ვარ, გალაქტიკოსებს ჩემებურად რომ ვეხუმრო, თუმცა ცოტა ხანი გაივლის და ზიდანსა და ბექემს ანეკდოტებით გასაქანს არ მივცემ. ამაში ჩემი ბრაზილიელი ძმაკაცები — რონალდო, რობერტო კარლოსი და ჟულიო ბაპტისტაც დამეხმარებიან“ — თქვა მხიარულმა რობინიომ.

ლადო ხომერიკი



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტინ პოლმი „არსენალში“ იენს ლემანის შემცვლელი იქნება

არსენალმა პოლმი იპოვა

ლონდონის „არსენალმა“ მეკარის ძიება საბოლოოდ მარტინ პოლმის თხოვებით დაასრულა. გამოცდილი ესტონელი „ჰაიბერიზე“ იანვრამდე ითამაშებს. რის შემდეგაც მეთოფეებმა მისი კონტრაქტი ეგებ ბოლომდეც გამოისყიდონ.

აღსანიშნავია, რომ 33 წლის გოლკიპერს ეროვნული ნაკრებისა და „სანდერლენდის“ რიგებში 2004 წლის ოქტომბრის მერე არ უთამაშია. მას მუხლის სერიოზული ტრავმა ჰქონდა და ბოლომდე ცოტა ხნის წინ მომჯობინდა. მიუხედავად ამისა, ლონდონელებს პოლმის შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარებათ.

ინგლისურმა კლუბებმა სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კიდევ რამდენიმე ტრანსფერი გაჩარხეს. უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლმა „პორტსმუთმა“ მოასწრო და „ბარსელონას“ ახალგაზრდა ფრანგი ნახევარმცველი ფრენკ სონგოო ერთი წლით წაჰგვარა. 19 წლის ფეხბურთელი კატალონიელთა ახალგაზრდული გუნდის წევრია და ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება.

პრემიერლიგის დებიუტანტმა „უიგანმა“ ქვედალიგელი „ლესტერის“ გოლეადორი დავიდ კონოლი დაიმატა. 28 წლის ირლანდიელმა კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეთანხმების ფინანსური დეტალები უცნობია.

ჰოლანდიურმა პსვ-მ პარკის, ლისა და ვილფრედ ბუმას ალბიონზე გასხვისების შემდეგ პრემიერლიგიდან ერთი მოთამაშე თავადაც წამოიყვანა. გუს ჰიდინკმა დაცვის გაძლიერება თვისტომი მიქაელ რაიციგერით გადაწყვიტა. სამშობლოში დაბრუნებულმა ვეტერანმა „ფილიპსის“ ბინადრებთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

გიორგი კაკაბაძე

ოუენამდე ნიუკასლს ელ ნინიო უნდოდა

ფერნანდო ტორესი

ერთი არშემდგარი ტრანსფერის ამბავი — ვიდრე „რეალიდან“ მაიკლ ოუენს იყიდდა, გრემ სუნესის „ნიუკასლმა“ სხვა მადრიდულ კლუბს, „ატლეტიკოს“ მიმართა და იქაურებს ფერნანდო ტორესში 45 მილიონი ევრო შესთავაზა. „კაჭკაჭებს“ „ათლეტებისთვის“ თავიდან 38 მილიონი უნდა მიეცათ, შემდეგ კი სხვადასხვა საკონტრაქტო პირობების გათვალისწინებით (ევროთასებზე გასვლა, ჩატარებული მატჩებისა და გატანილი გოლების რაოდენობა) დანარჩენ შვიდსაც გადაუხდიდნენ. თუმც, როგორც უკვე იცით, „ჯორდების“ აგენტებმა საბოლოოდ „რეალს“ და ოუენს მიაკითხეს, რადგან მადრიდელთა დამრიგებელმა კარლოს ბიანკიმ თავისი უპირველესი ვარსკვლავის გასხვისება კატეგორიულად უარყო.

ტორესს ამ ზაფხულს სხვა ევროპული გიგანტებიც დასტრიალებდნენ თავს — „ელ ნინიოს“ შეძენით „ბარსელონას“, „ჩელსის“, „მილანისა“ და „მანჩესტერის“ თავკაცობაც დაინტერესდა, ოღონდ მათ „ატლეტიკოსთვის“ ოფიციალურად არ მიუმართავთ. გრემ სუნესის წინადადება კი „ვისენტე კალდერონზე“ 29 აგვისტოს, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ორიოდე დღით ადრე მიიღეს, ამიტომაც არგენტინელმა ბიანკიმ უკვე დაწყებულ პრიმერადივიზიონში „ელ ნინიოს“ დაკარგვა (თუნდაც სოლიდურ ფასად) ვეღარ გარისკა.

იქამდე, „ათლეტებს“ კიდევ ერთი ევროპული გრანდის მოგერიება მოუხდათ — მიუნხენის „ბაიერნი“ ტორესით არ იყო დაინტერესებული. თუმცა ბავარიელებს „ალიანს არენადან“ კუფურის, ლინკეს და კოვაჩის წასვლის მერე „ვისენტე კალდერონის“ მცველის, ლუის პერეას შეძენა სურდათ. კარლოს ბიანკიმ ამაზეც უარი განაცხადა. ტორესიც და პერეაც 2005-06-ის სეზონში მადრიდულ გუნდში დარჩებიან.

ლადო ხომერიკი

პერესის პირველი ესპანელი



მადრიდის „რეალსა“ და „სევილიას“ შორის, სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს გამწარებული მოლაპარაკეა მიმდინარეობდა. საქმე სერხიო რამოსს ეხება. ესპანურ პრესას თუ ვენდობით მხარეები უკანასკნელ მომენტში შეთანხმებას მაინც მიაღწევდნენ.

როგორც ამბობენ, სევილიური კლუბი 19 წლის ნიჭიერ მცველში 25-27 მილიონ ევროს მიიღებს და მადრიდელთა შეთავაზებული ფეხბურთელებიდან ერთ-ერთს აირჩევს.

ეს ტრანსფერი გუშინ დილით ჩამლის პირას იყო. „სევილიას“ პრეზიდენტმა დელ ნიდომ ისიც კი განაცხადა, რამოსს არავითარ შემთხვევაში არ გავყიდითო, თუმც მადრიდელებმა თანხა გაზარდეს და მოლაპარაკებაც გაგრძელდა.

დარულს კი გეტყვით, რომ რამოსი პირველი ესპანელი ფეხბურთელი გახდება, ვისაც „სანტიაგო ბერნაბეუს“ თავკაცი თავისი მმართველობის პერიოდში „რეალში“ ჩარიცხავს. უცნაურია, მაგრამ ფლორენტინო პერესი 5 წლის განმავლობაში მხოლოდ უცხოელ ლეგიონერებს ყიდულობდა...

ლადო ხომერიკი

ინტერმა ენდი დაასრულა



ენდი ვან დერ მეიდე

დაახლოებით ორკვირიანი ორჭოფობის შემდეგ „ევერტონმა“ ინტერელი ენდი ვან დერ მეიდეს შეძენა ბოლო მომენტში გადაწყვიტა და ჰოლანდიელთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეთანხმების ფინანსურ დეტალებს მხარეები არ ახმაურებენ.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რადგანაც შევძლებ ისეთ კარგ გუნდში თამაშს, როგორიც „ევერტონია“. ბევრი გამიცდა და ძველებურად ბურთის გორება მომენტრა. ვფიქრობ, პრემიერლიგაში ეს კარგად გამომივა“ — განაცხადა 25 წლის ნახევარმცველმა.

პარალელურად, მილანური კლუბი კიდევ ერთ ფეხბურთელს შეელია. ბერძენი ფორვარდი ლამბროს ხუტოსი ამ სეზონის ბოლომდე ექტორ რაულ კუპერის „მალიორკაში“ იბურთავებს.

გიორგი კაკაბაძე

ჯანყი სათავადოში
აღარ მინდა მზე და ფული

მიშელ პასტორი

ბევრი ითმინეს „მონაკოს“ ფეხბურთელებმა და ბოლოს როგორღაც ამოღერღეს, რომ კლუბის პატრონი მიშელ პასტორი სატრანსფერო საქმეში უვიცია. ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ბეტისთან“ მარცხისა და გასულ უქმეებზე „ლანსთან“ ვერმოგების შემდეგ გუნდში ვითარება ადუღდა.

მეკარე ფლავიო რომამ, რომელიც ყველაზე მშვიდ კაცად ითვლება, დაიჩივლა: „ყოველ წელს გვპირდებიან ძლიერი ფეხბურთელის შეძენას, მაგრამ სიტყვას არ ასრულებენ. მე აქ მზისთვისა და ფულისთვის კი არ ჩამოვსულვარ, ჯილდოების მოგება მსურს. ჩვენ, ძველ მონაკოელებს, დაპირებების აღარ გვჯერა“.

პატრის ევრაც რომას აჰყვა: „სისულელეა ახალი მოთამაშის შეძენა მაშინ, როცა ჩემპიონთა ლიგაში ვეღარ მოვხვდებით. გაძლიერება საკვალიფიკაციო ეტაპამდეა საჭირო და არა მის შემდეგ“.

ლუკას ბერნარდის კი ეეჭვება, რომ ამ ზაფხულს კლუბმა მაღალ კლასის ფეხბურთელები შეიძინა. „მონაკომ“ ოლივიე კაპო, კამელ მერიემი და ხერარდ ლოპესი დაიმატა, მაგრამ ამით გუნდი არ გაძლიერებულა.

„შეიძლება ძალიან ცნობილი მოთამაშე იყოს, მაგრამ მოედანზე ვერაფერს აკეთებდეს“ — თქვა ბერნარდიმ.

გაელ გივეს კი მიაჩნია, რომ პატრონის წინააღმდეგ „გალაშქრება“ შეიძლება გუნდიდან აჯანყებულების გაძევებით დასრულდეს.

დიდიე დეშანმა მწვად-შამფური არ დაწვა: „ფეხბურთელებს აზრის გამოთქმის უფლება აქვთ, მაგრამ მათ ბანაკში ვერ გადავალ და კლუბის უფროსებს ვერ დავუპირისპირდები. ამბიცია გვაქვს, თუმ მაღალი კლასის მოთამაშეების შესაძენად საკმარისი ფული არ გაგვაჩნია. ამას უნდა შეეგუოთ“.

მიშელ პასტორმა „მონაკო“ ორი წლის წინ ჟან ლუი კამპორასგან ჩაიბარა და 35 მილიონი გირვანქა ვალის გადახდაც მოუწია. პასტორი ამჟამად ავადაა, ვიცე-პრეზიდენტმა ჟერარ ბრინმა კი ფეხბურთელების ნათქვამზე კომენტარი იუარა.

გაჟა ხუციშვილი


სებასტიან ვიერამ „ვილიარეალის“ მაისურა და პრიმერადივიზიონის ბურთი მოირგო

ვილიას ურუგვაელი მეკარე ჰყავს

ესპანური „ვილიარეალი“ და მონტევიდეოს „ნასიონალი“ ერთიანეთს შეუთანხმდნენ — სებასტიან ვიერა, ურუგვაელთა ყოფილი მეკარე, 4 სეზონით მანუელ პელეგრინის გუნდის კარს დაიცავს. ვიერა 22 წლისაა, თუმც თავისი ქვეყნის ნაკრებში რამდენიმე მატჩის ჩატარება უკვე მოასწრო. სამხრეთამერიკელი გოლკიპერით ამ ზაფხულს ინგლისური კლუბები, „არსენალი“ და „ლივერპული“ დაინტერესდნენ, თუმც ალბიონელებთან მოლაპარაკების ჩაშლის მერე ვიერამ და მისმა წარმომადგენელმა, ცნობილმა ურუგვაელმა ფეხბურთელმა დანიელ ფეთსეკამ ესპანური „ვილიარეალი“ აირჩიეს. „ყვითლების“ თავკაცობასთან სებასტიან ვიერას ოსტატობას თავდებად მისი თანამემამულე, „ვილიარეალის“ მეგოლე დიეგო ფორლანი დაუდგა.

„ვიერა კარგი გოლკიპერია და „ვილიასთვის“ ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია“ — აღნიშნა ფორლანმა „მარკასთან“ საუბრისას.

ლადო ხომერიკი

ფრანკო კოსტანსო

რივერ პლეიტის შერცხვენილი მეკარე ალავესში გაიქცა

ფრანკო კოსტანსო „რივერ პლეიტის“ შემადგენლობაში ჩატარებულ უკანასკნელ მატჩს ალბათ საშინელი კოშმარივით გაიხსენებს. არგენტინული გრანდის აწ უკვე ექსმეკარემ იქაური აპერტურას რიგით, ხოლო მისთვის ბოლო შერკინებაში „ბანფილდთან“ 4 ბურთი გაუშვა, რის გამოც „რივერმა“ გასვლითი მატჩი არაგრანდულად, დიდი ანგარიშით (4:1) წააგო. თქვენს მტერს შეხვედრის მერე საწყალ კოსტანსოს დღე დაადგა — „ბანფილდის“ არენაზე ჩასულმა „მილიონერების“ ინჩასებმა კარამოვსებულ გოლკიპერს ჯოჯოხეთურად აგინეს და ბოთლების თუ სხვა ნარგვარი საგნების კორიანტელი დააყენეს. შეუცხოფილმა და მიწასთან გასწორებულმა ფრანკომ გუშინ „რივერ პლეიტიდან“ და საერთოდ არგენტინიდან გუდა-ნაბადი აიკრა და ესპანურ „ალავესში“ დაგაბარგდა.

„მინდოდა, ჩემს ყოფილ კლუბთან გამოსათხოვარი თამაში ცოტა სხვაგვარი ყოფილიყო, თუმც რა გაეწყობა. ფეხბურთში ყველაფერი ხდება ხოლმე. ახლა „ალავესის“ გამარჯვებაზე ვიფიქრებ“ — განუცხადა მეკარემ არგენტინული „კლარინის“ ჟურნალისტს.

კოსტანსოს „გაევროპელებას“ მაინცდამაინც „რივერის“ წაგებას ნუ დავაბრალებთ. მოლაპარაკებები ესპანელებთან იქამდეც მიმდინარეობდა, თუმც, ცხადია, „ბანფილდთან“ ფიასკომ ერთობ დაჩქარა სატრანსფერო მოვლენები. ბედის ირონით „ალავესში“ ძირითადისთვის ბრძოლა კოსტანსოს კიდევ ერთ ექსრივერელი მეკარესთან, რობერტო ბონანოსთან მოუწევს...

ლადო ხომერიკი

ახალი მოცარტი

„რეჯინამ“ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ბრაზილიელი ფეხბურთელის გადაბირება მოასწრო. ბრუნო ლანსა დე ანდრადე „კორინთიანსის“ ეკუთვნოდა, მაგრამ „ჟუვენტუდეში“ იყო განათხოვრებული, საიდანაც სერია A-ში აღმოჩნდა.

„მე საყრდენი ნახევარმცველი ვარ — ასე წარუდგინა თავი იტალიურ მედიას დე ანდრადემ — ბავშვობაში მსურდა, კარლოს დუნგა ვაკმეხარიყავი, იტალიაში კი ჯენარო გატუზოს თამაში მხიბლავს“.

„რეჯინას“ დე ანდრადე მოცარტის შემცვლელად მიაჩნია, რომელიც მოსკოვის „სპარტაკში“ გადავიდა.

„შევეცდები რომ მოცარტზე უკეთ ვითამაშო — თქვა ბრაზილიელმა — რეჯიო კალაბრაზე ბევრი კარგი რამ მსმენია და აქაურთა დახვედრით აღფრთოვანებული ვარ. ვფიქრობ, „რეჯინაში“ გაღმოსვლა სწორი არჩევანია“.

ვაჟა ხუციშვილი

სერბმა ფრანგს სერბი უყიდა

ოთხ ტურში მოგების უნახავმა „პორტსმუთმა“ დონეცკის „შახტარიდან“ შემტევი ნახევარმცველი ზვონიმირ ვუკიჩი შეიძინა, თუმც სატრანსფერო თანხა არ გაამხილა.


ზვონიმირ ვუკიჩი

საპორტო ქალაქის გუნდმა შეტევის გასაძლიერებლად ამ ზაფხულს როლან რობერი, ლომანა ლუალუა და აზარ კარადაში დაიმატა. მიუხედავად ამისა, „პორტსმუთმა“ ოთხ მატჩში სამ გოლზე მეტი ვერ გაიტანა. ფრანგმა მწვრთნელმა ალენ პერენმა კლუბის პატრონ მილან მანდარიჩს კიდევ ერთი ფეხბურთელის ყიდვა სთხოვა. სერბმა მილიონერმაც „შახტარიდან“ თვისტომი ზვონიმირ ვუკიჩი გადაიბირა და თვითონვე აქო: „ჩვენ შემტევი ნახევარმცველი გვჭირდებოდა და ვუკიჩი გუნდს მნიშვნელოვნად გააძლიერებს. მისი გოლები ძალიან დაგვეხმარება.

სერბი ფეხბურთელი „შახტარამდე“ ბელგრადის პარტიზანში თამაშობდა და ორ სეზონში 53 გოლი მითვალა.

ვაჟა ხუციშვილი

მგელი თხებში

ბუნდესლიგურმა „კოლნმა“ „ვოლფსბურგიდან“ პატრიკ ვაიზერი შეიძინა. 33 წლის მცველმა კარიერა კოლნში დაიწყო და 1992-1997 წლებში ამ გუნდის მაისურით 110 მატჩი ითამაშა. შემდეგ ფრანგულ „რენში“ გადავიდა, მაგრამ იქაურობას ვერ შეეგუა და 2000-ში ბუნდესლიგაში დაბრუნდა — „ვოლფსბურგთან“ გააფორმა კონტრაქტი. „მგლებში“ ხუთი სეზონი დაყო, მაგრამ ახალ მწვრთნელ ჰოლგერ ფახთან ურთიერთობა წაუხდა, რის გამოც სათადარიგოთა სკამზე დასვეს და მანაც გადწყვიტა, კლუბი დაეტოვებინა.


პატრიკ ვაიზერი

ვაჟა ხუციშვილი

სარბიელი ⁄ კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I ლიგა						
		2 სექტემბერი						
22:45	23	ბორნმუთი-ტრანმერი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
22:45	24	ბრედფორდი-ჩესტერფილდი	1.75	3.40	3.90	1.15	1.20	1.81
22:45	25	დონკასტერი-ბლეკპული	1.85	3.30	3.60	1.18	1.22	1.72
22:45	26	ჯილინგემი-ბარნსლი	1.85	3.40	3.50	1.19	1.21	1.72
22:45	376	ჰადერსფილდი-სკანთორპი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
		3 სექტემბერი						
15:00	27	ჰარტლპული-იოვილი	1.70	3.30	4.35	1.12	1.22	1.87
15:05	28	ბრისტოლი-კოლჩესტერი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
16:00	29	ნოტინგემი-ბრენტფორდი	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64
16:00	30	პორტ ვეილი-როტერჰემი	2.20	3.30	2.80	1.32	1.23	1.51
16:00	31	უოლსოლი-სუინდონი	1.85	3.30	3.65	1.18	1.22	1.73
		4 სექტემბერი						
18:00	32	საუთენდი-ოლდემი	2.25	3.30	2.70	1.33	1.22	1.48
		ინგლისი. II ლიგა						
		2 სექტემბერი						
22:30	45	დარლინგტონი-ნოტსი	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
22:45	46	გრიმსბი-სტოკპორტი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
22:45	47	ლინკოლნი-რექსემი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
22:45	48	ბერი-კარლაილი	2.25	3.30	2.75	1.33	1.23	1.50
22:45	49	ჩელტენემი-ბარნეტი	2.10	3.30	3.00	1.28	1.23	1.57
22:45	50	ჩესტერი-მენსფილდი	1.85	3.40	3.50	1.19	1.21	1.72
22:45	51	რაშდენი-პიტერბრო	2.75	3.30	2.25	1.50	1.23	1.33
22:45	52	შრიუსბერი-ოქსფორდი	2.25	3.30	2.75	1.33	1.23	1.50
22:45	53	უიკომბი-ნორთჰემპტონი	2.15	3.30	2.85	1.30	1.22	1.52
		3 სექტემბერი						
15:00	54	როჩდეილი-ტორკი	1.80	3.40	3.80	1.17	1.22	1.79
16:00	55	ლეიტონი-როვერსი	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64
		4 სექტემბერი						
18:00	56	მაკლსფილდი-ბოსტონი	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
		ინგლისი. კონფერენსი						
		2 სექტემბერი						
22:45	68	ფორესტ გრინი-გრეისი	2.75	3.40	2.15	1.52	1.20	1.31
22:45	69	კიდერმინსტერი-კონვი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
22:45	70	იორკი-კემბრიჯი	2.05	3.40	3.00	1.27	1.21	1.59
		3 სექტემბერი						
15:30	71	გრეიესენდი-საუთპორტი	2.05	3.40	2.95	1.27	1.20	1.57
16:00	72	სტივენეიჯი-ჰალიფაქსი	1.65	3.40	4.40	1.11	1.20	1.91
16:00	73	აკრინგტონი-უოკინგი	1.85	3.40	3.50	1.19	1.21	1.72
15:00	74	ბარტონი-სკარბორო	2.15	3.30	2.85	1.30	1.22	1.52
15:00	75	დაგ ენდ რედი-ექსეტერი	2.75	3.40	2.20	1.52	1.22	1.33
15:00	76	ჰერეფორდი-ალტრინჩემი	1.55	3.50	5.20	1.07	1.19	2.09
15:00	77	მორეკომბი-ტეშუორთი	1.55	3.60	5.00	1.08	1.18	2.09

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		5 სექტემბერი						
22:45	78	ალდერშოტი-ქროული	1.90	3.50	3.30	1.23	1.20	1.69
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)						
		1 სექტემბერი						
21:00	89	ჰოფენჰაიმი-აალენი	1.60	3.60	4.50	1.10	1.18	2.00
		იტალია. სერია B						
		2 სექტემბერი						
22:45	377	კატანია-ბრეშა	1.95	2.80	3.80	1.14	1.28	1.61
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		2 სექტემბერი						
22:30	147	კაენი-ამიენი	2.20	2.90	3.20	1.25	1.30	1.52
		ჰოლანდია. II დივიზიონი						
		2 სექტემბერი						
22:00	166	აპელდორნი-კამბური	2.10	3.30	3.00	1.28	1.23	1.57
22:00	167	ვეენდამი-ვრააფსხაპი	2.35	3.30	2.50	1.37	1.21	1.42
22:00	169	დორდრეხტი-ვოლენდამი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
22:00	170	ეინდჰოვენი-მაასტრიხტი	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
22:00	171	ექსელსიორი-ზვოლე	1.70	3.30	4.10	1.12	1.20	1.82
22:00	172	სიტარდი-ემენი	2.20	3.40	2.65	1.33	1.20	1.48
22:00	173	იგლსი-ოსი	2.00	3.30	3.00	1.24	1.20	1.57
22:00	174	ტელსტარი-ალმერე	1.65	3.60	4.00	1.13	1.16	1.89
22:00	175	ვენლო-ჰელმონდი	1.80	3.30	3.60	1.16	1.20	1.72
		საბერძნეთი						
		4 სექტემბერი						
18:00	378	ლევადეიაკოსი-იონიკოსი	2.05	3.10	3.10	1.23	1.23	1.54
		ჩეხეთი						
		1 სექტემბერი						
19:00	363	სლოვაცკო-ბოლესლავი	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
		ნორვეგია						
		I დივიზიონი						
		4 სექტემბერი						
18:00	186	ალტა-სტრიომსგოდსეტი	2.80	4.00	2.00	1.64	1.16	1.33
18:00	187	ბრინი-ჰიოდი	1.45	4.20	5.50	1.07	1.14	2.38
18:00	188	ჰიონეფოსი-სოენდალი	2.05	3.80	2.80	1.33	1.18	1.61
18:00	189	ლოვ ჰამი-კონგსვინგერი	2.40	3.80	2.35	1.47	1.18	1.45
18:00	191	პორს გრენლანდი-მანდალი	1.65	3.70	4.30	1.14	1.19	1.98
18:00	192	სანდეფიორდი-სკეიდი	1.40	4.50	6.00	1.06	1.13	2.57
		5 სექტემბერი						
19:00	190	მოსი-ფოლო	1.45	4.00	5.60	1.06	1.15	2.33

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ფინეთი						
		1 სექტემბერი						
19:00	212	ტპ 47-ჰაკა	5.30	3.50	1.55	2.10	1.19	1.07
20:00	215	კუოპიო-ლაჰტი	2.75	3.30	2.20	1.50	1.22	1.32
20:00	216	მიუპა-როვანიემი	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
		ირლანდია						
		2 სექტემბერი						
22:45	219	ბოჰემიანი-შემროკი	1.95	3.20	3.30	1.21	1.22	1.62
22:45	220	ბრეი-სტ.პატრიკსი	2.00	3.20	3.10	1.23	1.21	1.57
22:45	221	დროგედა-დერი	2.90	3.20	2.10	1.52	1.21	1.26
23:00	222	შელბურნი-დუბლინი	1.60	3.40	4.60	1.08	1.18	1.95
		3 სექტემბერი						
22:30	223	ლონდონდერი-უოტერფორდი	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
		არგენტინა						
		2 სექტემბერი						
22:30	241	არგ. ხუნიორსი-არსენალი	1.65	3.30	4.50	1.10	1.20	1.90
22:30	242	ინსტიტუტო-ესტუდიანტესი	2.10	3.30	2.95	1.28	1.22	1.55
		მჩ. შესარჩევი მატჩები						
		3 სექტემბერი						
18:00	253	უელსი-ინგლისი	7.00	3.80	1.40	2.46	1.16	1.02
18:00	254	ანდორა-ფინეთი	20.00	7.50	1.07	5.45	1.01	1.00
18:00	255	ჩრდ.ირლანდია-აზერბაიჯანი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
19:00	256	რუსეთი-ლიხტენშტაინი	1.03	9.00	25.00	1.00	1.00	6.61
19:00	257	ესტონეთი-ლატვია	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
19:15	258	შვედეთი-ბულგარეთი	1.40	3.90	7.00	1.03	1.16	2.50
19:30	259	შვეიცარია-ისრაელი	1.70	3.20	4.70	[illegible]	1.24	1.90
20:00	260	მოლდოვა-ბელარუსი	3.60	3.10	1.95	1.66	1.26	1.19
20:30	262	შოტლანდია-იტალია	6.00	3.40	1.55	2.17	1.23	1.06
21:00	263	სომხეთი-ჰოლანდია	16.00	7.00	1.08	4.86	1.01	1.00
22:00	264	რუმინეთი-ჩეხეთი	2.95	3.20	2.20	1.53	1.26	1.30
22:00	265	თურქეთი-დანია	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
22:00	267	ბოსნია-ბელგია	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
22:05	268	ისლანდია-ხორვატია	6.00	3.50	1.50	2.21	1.20	1.04
22:30	269	სერბია-ლიტვა	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
22:30	270	პოლონეთი-ავსტრია	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
22:45	271	სლოვენია-ნორვეგია	2.30	3.00	2.85	1.30	1.27	1.46
22:45	272	უნგრეთი-მალტა	1.05	8.00	25.00	1.00	1.00	6.06
23:00	273	საფრანგეთი-ფარერები	1.01	9.50	40.00	1.00	1.00	7.67
23:45	274	პორტუგალია-ლუქსემბურგი	1.01	9.50	40.00	1.00	1.00	7.67
23:45	291	აშშ-მექსიკა	2.15	3.00	3.10	1.25	1.26	1.52
23:00	293	ბოლივია-ეკვადორი	2.30	3.20	2.60	1.33	1.22	1.43
23:45	294	პარაგვაი-არგენტინა	2.80	3.00	2.30	1.44	1.26	1.30
23:45	295	ვენესუელა-პერუ	2.10	3.00	3.30	1.23	1.28	1.57
23:00	296	ბრაზილია-ჩილე	1.20	5.20	12.00	1.00	1.09	3.62
23:00	297	ურუგვაი-კოლუმბია	2.05	3.00	3.40	1.21	1.27	1.59
		ამხანაგური						
		მატჩები						
		3 სექტემბერი						
22:00	364	სლოვაკეთი-გერმანია	3.90	3.30	1.75	1.78	1.20	1.14
23:45	365	ესპანეთი-კანადა	1.10	6.50	15.00	1.00	1.02	4.53

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ეჩ. შესარჩევი მატჩები (21)						
		2 სექტემბერი						
15:00	299	სომხეთი(21)-ჰოლანდია(21)	9.00	4.70	1.25	3.08	1.09	1.00
17:00	300	მოლდოვა(21)-ბელარუსი(21)	2.80	3.00	2.30	1.44	1.26	1.30
18:00	301	ბოსნია(21)-ბელგია(21)	3.50	3.30	1.85	1.69	1.21	1.18
18:00	302	რუმინეთი(21)-ჩეხეთი(21)	2.40	2.90	2.75	1.31	1.28	1.41
18:30	303	სერბია(21)-ლიტვა(21)	1.25	4.80	8.50	1.00	1.08	3.06
18:30	304	პოლონეთი(21)-ავსტრია(21)	1.65	3.40	4.10	1.11	1.17	1.85
19:00	305	ესტონეთი(21)-ლატვია(21)	2.85	3.20	2.15	1.50	1.22	1.28
19:00	307	ალბანეთი(21)-ყაზახეთი(21)	1.45	3.60	6.00	1.03	1.16	2.25
19:00	308	სლოვენია(21)-ნორვეგია(21)	2.40	2.90	2.75	1.31	1.28	1.41
21:00	309	უნგრეთი(21)-მალტა(21)	1.15	5.50	12.00	1.00	1.04	3.77
21:00	310	შვედეთი(21)-ბულგარეთი(21)	1.45	3.60	5.80	1.03	1.15	2.22
21:00	311	ისლანდია(21)-ხორვატია(21)	3.70	3.30	1.80	1.74	1.21	1.16
21:00	312	თურქეთი(21)-დანია(21)	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
22:15	313	შვეიცარია(21)-ისრაელი(21)	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
22:30	314	შოტლანდია(21)-იტალია(21)	5.50	3.50	1.50	2.13	1.17	1.04
22:30	315	გერმანია(21)-აზერბაიჯანი(21)	1.02	9.00	25.00	1.00	1.00	6.61
23:00	316	უელსი(21)-ინგლისი(21)	4.50	3.60	1.55	2.00	1.15	1.08
23:45	317	პორტუგალია(21)-ლუქსემბურგი(21)	1.02	9.00	25.00	1.00	1.00	6.61

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ფრანგული 1. ლიგა. 3 სექტემბერი

11:00	1001	გამარჯვებული	კლიენი	120.00
11:00	1001	გამარჯვებული	რ.შუმახერი	40.00
11:00	1001	გამარჯვებული	დორნბოსი	220.00
11:00	1001	გამარჯვებული	ალონსო	5.00
11:00	1001	გამარჯვებული	მონტოია	4.50
11:00	1001	გამარჯვებული	რაიკონენი	1.70
11:00	1001	გამარჯვებული	მ.შუმახერი	10.00
11:00	1001	გამარჯვებული	ფიზიკელა	17.00
11:00	1001	გამარჯვებული	ტრული	20.00
11:00	1001	გამარჯვებული	მონტეირო	150.00
11:00	1001	გამარჯვებული	სატო	30.00
11:00	1001	გამარჯვებული	ბატონი	15.00
11:00	1001	გამარჯვებული	ვებერი	40.00
11:00	1001	გამარჯვებული	ჰაიდფელდი	50.00
11:00	1001	გამარჯვებული	კულტჰარდი	80.00
11:00	1001	გამარჯვებული	მასა	90.00
11:00	1001	გამარჯვებული	ვილნევი	150.00
11:00	1001	გამარჯვებული	კარტიკეიანი	180.00
11:00	1001	გამარჯვებული	ალბერსი	200.00
11:00	1001	გამარჯვებული	ბარიჩელო	35.00

არ დაშლილა, ხავსს ეჭიდება

სტუ სპონსორს ელაპარაკება



გურამ დოლიძეგაშვილის ფოტო

სტუდენტები სპონსორის გამოჩენას ელიან

მიუხედავად იმისა, რომ „სტუ-ჯეოსელს“ მთავარი სპონსორი წაუვიდა და ჯიბეგაფხეკილი დარჩა, გუნდი მაინც არ დაშლილა და დღემდე ვარჯიშობს. „ჯეოსელის“ თამაშიდან გასვლის შემდეგ ეს ის გუნდი აღარაა, რომელმაც გასულ სეზონში ჩემპიონობა მოიგო, თუმც ტექნიკოსები ხავსს ეჭიდებიან და თუ რამე გამოუვიდათ, მომავალ სეზონში ალბათ სტუ-ს სახელით გამოვლენ.

ტექნიკოსებმა შემადგენლობა შეინარჩუნესო, კი ვთქვით, მაგრამ მთლად ისეც ხომ არ იქნებოდა, უფულო გუნდიდან არაკინ წასულიყო. სტუ ორმა ლიდერმა დატოვა — რამაზ გოგობერიშვილმა და ირაკლი ჯაფარიძემ. ორი ტექნიკოსი — ირაკლი კეიდია და გიორგი მარკოიშვილი ნაკრებში არიან გამოძახებულნი, ხოლო დანარჩენები ნუგზარ ჭეიშვილის ხელქვეით ვარჯიშობენ.

„ბიჭებმა მოთმინება გამოიჩინეს და გუნდიდან არ წავიდნენ — გვითხრა ჭეიშვილმა — ჯერ იურიდიულად არავინ არ ირიცხება სტუ-ში, მაგრამ ერთად ვართ და იმედიანი განწყობაა. ახლა მთავარია, დაფინანსება გამოჩნდეს. ჯერ ვერაფერს ვიტყვი, მოლაპარაკება მიმდინარეობს პოტენციურ სპონსორებთან და 15 სექტემბრისთვის ყველაფერი გვეცოდინება. მანამდე ერთად ვივარჯიშებთ და თუ ყველაფერი ჩვეწს სასიკეთოდ გადაწყდა, ახალ სეზონს მომზადებულები შევხვდებით“.

აქვე გეტყვით, რომ სტუ-დან წასული ირაკლი ჯაფარიძე მშობლიურ „რუსთავს“ დაუბრუნდა, თუმც დარჩება თუ არა ქვემოქართლელებთან, ჯერ არ გადაუწყვეტია.

თავის მხრივ რუსთაველი გუნდიც დაფინანსების ძიებაშია. სწორედ დღეს ვხვდები რუსთავის მერს და ეგება რამე მოგვიხერხოსო — გვითხრა გუშინ „რუსთავის“ მთავარმა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ და დააყოლა — ისე, ქალაქის ბიუჯეტში ჩვენი კლუბისთვის თანხა არაა გამოყოფილი, მაგრამ მერის მაინც გვეიმედებაო.

ირაკლი პერტაია



გურამ დოლიძეგაშვილის ფოტო

მაკა ჩახნაშვილი

რუსული დეჟავიუ

ჩახნაშვილი ნაცნობ ბელარუსს გადაეყარა

მოსკოვში, ბალაშიხას საჩოგბურთო კორტებზე, „გუბერნატორის თასის“ გათამაშება დაიწყო. ამ 25-ათასდოლარიანი საპრიზო ფონდის ტურნირზე მაკა ჩახნაშვილი მეხუთე ნომრადაა განთესილი. 22 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა გუშინწინ პირველი წრის შეხვედრის მოგებაც მოასწრო ძირითად ბადეში „ვაილდ ქარდით“ მოხვედრილ ნორჩ რუს ქსენია პერვაკთან და დღეს მერვედფინალში ბელარუს დარია კუსტავას დაუპირისპირდება.

ეს ის კუსტავაა, გასულ კვირაში მისკოვშივე ჩატარებულ ანალოგიურ ტურნირში სწორედ ჩახნაშვილმა რომ დატოვა მეორე წრის მიღმა. მაკამ პირველი წაგებული სეტის შემდეგ ბელარუსს ზედიზედ ორი მოუგო, მერე კი კიდევ ორი მეტოქე ჩამოიცილა და ნახევარფინალამდე მივიდა. ამჯერად ფინალისკენ მიმავალ გზაზე ჩვენებურის უმთავრესი კონკურენტი ბელარუსი ნადეჟდა ოსტროვსკაია უნდა იყოს. იგი ბადის ზედა ნაწილში ერთადერთია, რომელსაც ჩახნაშვილზე მაღალი რეიტინგი აქვს. ოსტროვსკაია მსოფლიო კლასიფიკაციაში 299-ე ნომერია, ხოლო გუბერნატორის თასზე მე-4 ნომრადაა განთესილი.

აქვე პირველ წრეში მომხდარ სენსაციაზეც ვთქვათ. ტურნირის ყველაზე მაღალრეიტინგიანმა რუსმა ნინა ბრატჩიკოვამ კვალიფიკაციაგავლილ მსოფლიოს 1070-ე ნომანთან, ანა ლაპუშენკოვასთან ორ სეტში წააგო. არადა ისიც ბადის ზედა ნაწილში იმყოფებოდა და ქართველის პოტენციურ მეტოქედ ითვლებოდა.

ბალაშიხური ტურნირი 4 აგვისტომდე გასტანს, მერე კი მაკა ჩახნაშვილი თბილისში დაბრუნდება და 10 ათას დოლარიანი „ბორჯომის თასისთვის“ მოემზადება. ეს შეჯიბრი ლეილა მესხის აკადემიის კორტებზე 12 სექტემბრიდან დაიწყება.

ოთარ მაღლაკელიძე

გურამ დოლიძეგაშვილის ფოტო

დარია კუსტავა

გორდონ ჰერბერტს პარიზი უხმობს

მამაცაშვილი რასინგში თან ვარჯიშობს და თან ფიქრობს

სანამ გორდონ ჰერბერტი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში საქმიანობს, მის კლუბ „პარიზ რასინგში“ გვარიანი არეულობაა. თითქმის ყველა ფრანგულ კლუბში შემადგენლობები დაკომპლექტებულია და ახალი სეზონისთვის მზადება მიმდინარეობს, აი, უთავკაცოდ დარჩენილ „რასინგში“ კი სამწვრთნელო პროცესი ხომ შეჩერებულია და გუნდის შემადგენლობაც ბურუსითაა მოცული. თუ რა ხდება „რასინგში“, ამ გუნდის დუბლიორი გიორგი მამაცაშვილი გვიამბობს, რომელსაც გუშინ პარიზში შევეხმიანეთ...

გურამ დოლიძეგაშვილის ფოტო

გიორგი მამაცაშვილი (ბურთით)

— „რასინგის“ დიდი გუნდი ჯერ არ შეკრებილა. პარიზში მხოლოდ ორი მოთამაშეა, დანარჩენები კი არ ჩანან.

— ამის მიზეზი გორდონ ჰერბერტის არყოფნაა?

— „გორდის“ არყოფნის გამოა სწორედ, გუნდი რომ არ ვარჯიშობს, ისე კი „რასინგს“ სხვა პრობლემებიც აწუხებს. ამ ზაფხულს გუნდი სამმა ლიდერმა დატოვა და უკეთესი ანაზღაურების გამო სხვაგან გადავიდა. კლუბის ხელმძღვანელები გაწამაწიაში არიან და ლიდერთა ღირსეულ შემცვლელებს ეძებენ, მაგრამ ჯერჯერობით საიმედო არაფერი ხდება. თანაც „რასინგს“ საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციასთან რაღაც პრობლემები ჰქონდა და ახლა რომ დალაგებულად არაა აქ საქმე, ამის ბრალიცაა გარკვეულწილად.

— სეზონის დაწყებამდე ჯერ ადრეა და საგანგაშოც ალბათ არაფერია...

— მართალია, სეზონი ჯერ არ იწყება, მაგრამ დღესდღეობით თითქმის ყველა ფრანგული კლუბი დაკომპლექტებულია და ვარჯიშობს.

— შენ ხომ ვარჯიშობ?

— მე დუბლიორთა გუნდში ვვარჯიშობ, სადაც გასულ სეზონში ვთამაშობდი. გორდონი რომ ჩამოვა, სავარაუდოდ დიდ გუნდში გავგრძელებ ვარჯიშს.

— ესე იგი ამ სეზონშიც „რასინგში“ იქნები...

— დანამდვილებით არ ვიცი, თუმც არც ისაა გამორიცხული, რომ სხვაგან გადავიდე.

— კონტრაქტი არ გაქვს?

— არა, გასული სეზონიც უკონტრაქტოდ, შეთანხმების საფუძველზე გავატარე „რასინგის“ დუბლებში.

— მერედა ეგ შესაძლებელია?

— „რასინგის“ პრეზიდენტი ჩემი სატრანსფერო მენეჯერია და ისე მოაგვარა საქმეები, პრობლემა არ შეუქმნია. ზუსტად არ ვიცი, რა როგორ იყო, მაგრამ მე დუბლებში ვთამაშობდი, ხელფასსაც ვიღებდი, მაგრამ ოფიციალური კონტრაქტი არ მქონია. ახლა როგორ იქნება საქმე, არ ვიცი. რიდს აუარება საქმე აქვს, აქეთ კლუბი, იქით ტრანსფერები. მე ჯერჯერობით აქ ვარ, ვვარჯიშობ და არაფერი მაკლია. ვნახოთ, ხვალ რა იქნება.

US OPEN 2004

ბოლიათი ჯუჯა ქვეყნიდან

UNHAPPY BIRTHDAY TO YOU



ენდი როდიკი

პირველი წრე

კაცები

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ივო მინარი (ჩეხეთი) 6:1 6:1 6:1; **ფილ მიულერი** (ლუქსემბურგი) — ენდი როდიკი (4, აშშ) 7:6 (7:4) 7:6 (10:8) 7:6 (7:1); **ნიკოლაი დავიდენკო** (6, რუსეთი) — ტომაშ ზიბი (ჩეხეთი) 6:2 6:0 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (11, არგენტინა) — ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 6:2 7:5 6:4; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — ტიმ ჰენმანი (12, ბრიტანეთი) 6:4 6:2 6:2; **რადეკ შტეპანეკი** (16, ჩეხეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 7:5 7:6 (7:5) 6:1; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ხუან კარლოს ფერერო (220, ესპანეთი) 7:5 7:5 6:1; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — გრეგ რუზედაკი (28, ბრიტანეთი) 7:5 7:6 (7:3) 6:3; **კარლოს მოია** (31, ესპანეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:4 6:4 2:1 *ლოდრამ შეწყვიტა*; **გუსტავო კუერტენი** (ბრაზილია) — პოლ გოლდშტაინი (აშშ) 6:2 6:7 (5:7) 6:3 7:6 (7:3)

ქალები

ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ნა ლი (ჩინეთი) 6:4 6:4; **ამელი მორეზმო** (3, საფრანგეთი) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:3 6:2; **ელენა დემენტიევა** (6, რუსეთი) — ლუცია საფაროვა (ჩეხეთი) 7:5 6:3; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (7, ბელგია) — ჟუჟანა ონდრაშკოვა (ჩეხეთი) 6:3 6:0; **პატი შნიდერი** (11, შვეიცარია) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 4:6 6:4 6:2; **მარი შნიდერი** (12, საფრანგეთი) — მარა სანტაჯელო (იტალია) 6:2 6:4; **ანასტასია მისკინა** (13, რუსეთი) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:3 6:1; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — სევერინ ბელტრანი (საფრანგეთი) 6:4 7:5; **ელენა იანკოვიჩი** (სდჩ) — დენიზა ჭლადკოვა (ჩეხეთი) 7:5 6:3; **ელენა ლიხოვცევა** (19, რუსეთი) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:4 6:1; **ანა ჩაკვეტაძე** (29, რუსეთი) — ვიკტორია კუტუზოვა (უკრაინა) 6:3 3:6 7:5

ჩოგბურთის ტრფიალთ ჯერ მდედრთა შორის შარშანდელი გამარჯვებულის, სვეტლანა კუზნეცოვას საპირველდღეო გავარდნაზე ღადავი არ მოგვემთავრებინა, მეორე დღეს უფრო ზორბა სენსაციის მოწმენი რომ გავხდით.

ტერიტორიული და საჩოგბურთო თვალსაზრისით ჯუჯა ქვეყნის, ლუქსემბურგის გოლიათმა წარმომადგენელმა ფილ მიულერმა, ვინაც კორტის დონიდან მეტრსა და 95 სანტიმეტრს აითვლის და პირველი თავისქვეყნელია, ოდესმე აშშ-ის ღია პირველობაზე რომ უჩოგნავია, პირველი წრიდანვე დაიქნია ტურნირის შარშანწინდელი ჩემპიონი და ამჟამინდელი ფავორიტთაგანი ენდი როდიკი.

მართალია, ენდიბოი ამ ბოლო დროს სულ უფრო უნაპერწკლოდ და ყმაწვილური სიშუშპრის გარეშე ირჯება, მაგრამ ტიტულებს მაინც შესაშური სტაბილურობით კვერავს და საყვარელ მაგარსაფარზეც წლეულს ოდენ როჯერ ფედერერს ჩამორჩება. სა-ამ-აშშ-ის-ღია-პირველობო ჩრდილოამერიკული სამზადისისას კი ის სულაც საუკეთესო გახლდათ — ვაშინგტონში გამარჯვებისა და ცინცინატიში ფინალამდე მისვლის წყალობით მან ამ საზაფხულო სერიაში ყველაზე მეტი ქულა და — შედეგად — იმის შანსიც ირგუნა, რომ თავისი მეორე იუესოუპენის მოგების შემთხვევაში 2,2 მილიონი დოლარი ანუ ჩემპიონისთვის დათქმულ 1,1-ზე ორჯერ მეტი მოემკა.

ახლა 2,2 მილიონისთვის მხოლოდ ქალთა საზაფხულო სერიის გამარჯვებული კიმ კლაისტერსი-ღა იბრძვის. ამ სერიაში მეორე-მესამე ადგილებზე გასული მეჩოგნეები კი — ანუ კაცთა შორის ანდრე აგასი და რაფაელ ნადალი, ხოლო ქალთაგან მარი პირსი და აი სუგიამა — აშშ-ის ღია პირველობაზე გამარჯვებისას 1,1 მილიონზე, შესაბამისად, 50 და 25 პროცენტით მეტს მიიღებენ.

თუმცა აჯობებს, პირველსავე სიტყვას მოვიდეთ და მიულერისგან როდიკის ძლევის ამბავს დავუბრუნდეთ.

სხვისი არ ვიცი და ამ მატჩმა უწინარესად 8 აგვისტოს როდიკსა და ფრანგ პოლ-ანრი მატიოს შორის შემდგარი შეხვედრა მომაგონა. ის მატჩი მონრეალური მასტერსტურნირის პირველ წრეში შედგა და ენდიბოი მაშინ 5:7 3:6 იძლია. ანგარიშზე მთავარი იქ ის იყო, რომ როდიკი, რომელსაც მისი უმძლავრესი მოწოდება მეტოქესთან იმთავითვე უპირატესობას ანიჭებს, მაშინაც მომგერიებლის როლში წარმოგვიდგა და მთელი მატჩის მსვლელობისას ამაოდ ცდილობდა აგრესიულად მიძალებული ფრანგის ალაგმვას.

ოღონდ იმ შეხვედრაში ის ერთგვარად მოწოდებამაც დააღალატა და ნამატჩევს უმთავრესი აქცენტი მისგანაც და მიმომხილველთაგანც სწორედ ამაზე კეთდებოდა. არადა, მოწოდების გამრუდებაზე აპელირება ყოველთვის ჩქმალავდა იმ გარემოებას, რომ კაცთა ამქრის ერთდროინდელი პირველოსნისა და ამჟამინდელი მეოთხეადგილოსნის არსენალი აშკარად მწირი და შეზღუდულია.

მიულერის წინააღმდეგ როდიკის მოწოდებას არა უშავდა — ხამუშ-ხამუშ საათში 241 კილომეტრის სიჩქარითაც აბრახუნებდა და ჯამში 17 ეისიც მოაქუჩა, მაგრამ სანაცვლოდ ვერც ხელუკუღმას ხმარობდა რიგიანად, ვერც ბადესთან ვარგოდა და უკანახაზიდან გამართული ხანგრძლივი ბათქა-ბუთქისასაც უფრო სუსტი იყო.

მიულერი კი თავიდანვე მკაფიოდ განსაზღვრული ტაქტიკით მოქმედებდა, ცდილობდა, თავისი გლაჯუნა ცაციით როდიკი კორტის მარცხენა კიდეში მიემწყვდია და მისი სუსტი ხელუკუღმით ესარგებლა, რაიც — ჰალალად უნდა ითქვას — ბრწყინვალედ გამოუვიდა კიდეც.

ისე, მიულერი როდიკს ყველა კომპონენტში აღემატება. მართალია, მასსავით სწრაფი მოწოდება არა აქვს, მაგრამ სანაცვლოდ უაღრესად ზუსტად და ჩახუჭუჭებულად აწვდის და აკი მასზე შვიდი ეისით მეტიც ჩაატყლაშუნა. უმჯობესად გაირჯა ის ბადესთანაც, უკანახაზიდანაც უფრო მრავალფეროვნად, უფრო აგრესიულად უტევდა და თუმც მისი 15 შეცდომის წილ 33-ჯერ მიჰქარა, სამაგიეროდ 39 ქულიანი დარტყმის წილ 65-ჯერ დაჰკრა საქულედ.

რაც მთავარია, ყოველივე ამას 22 წლის ლუქსემბურგელი სრულიად აულელვებლად, მშვიდად და თავდაჯერებულად აკეთებდა, რასაც ვერ გაიმეორებ როდიკზე, რომელიც მერე თავადვე ამბობდა, მთელი მატჩი რაღაცას დავდევდი და ახლაც აზრზე არა ვარ — რასო.

არადა, ენდის იმ დღეს 23 წელი შეუსრულდა და იმის ნაცვლად, ამბავი გამარჯვებულსა და მეორე წრეში გავაკებულს აღენიშნა, დასტურ შოკირებულმა და იმედგაცრუებულმა ჩააიმასქნა.

„ასე ცუდად თავი ჯერ არც ერთი მარცხის მერე არ მიგრძვნია — ამბობდა ის ნამატჩევს — ეგ მით უფრო, რომ დიდი მუზარადის ტურნირს არასდროს ასე იმედიანად არ შევგებებივარ. ოცდაოთხი საათის წინ არაჩვეულებრივ პერსპექტივას ვჭვრეტდი და დიდი გამარჯვება მეოცნებებოდა, ახლა კი ისე ვარ, როცა საიდანაც არ ელი, კაცს იქიდან რომ მოგხვდება ხოლმე. რას არ მივცემდი იმაში, დრო ოთხი საათით რომ შემეტრიალებინა.“

ამ ტურნირამდე რეიტინგსიის 68-ე ადგილზე მყოფი მიულერი კი მოსალოდნელზე უფრო თავშეკავებული გახლდათ და, აი, ეგრე ბრძნულად მეტყველებდა:

„ცხადია, რომ ის დიდი ვარსკვლავია. მაგრამ ჩემთვის ის დღეს მხოლოდ მორიგი მეტოქე იყო. ამიტომაც იმაზე ფიქრის ნაცვლად, თუ რა დიდ ვარსკვლავთან მიწევდა თამაში, უფრო მის სისუსტეებზე ვიფიქრე... არა მგონია, რომ დღეს რაღაც სასწაული ჩოგბურთი გაჩვენეთ, თუმცა ურიგოდაც ნაღდად არ მითამაშია. მომენტებში კაცურად გავრისკე და ამან გამიმართლა კიდეც. როცა შევატყვე, რომ უფრო მეტის გაკეთებაც შემეძლო, ჩემს თავს ვუთხარი, არ ინერვიულო, ახლა მაგარი შანსი გაქვს-მეთქი. ჰოდა, არც ავნერვიულებულვარ, ვცადე, ყოველი წამი წაღმად გამომეყენებინა და თამაშით მართლაც მაგრად ვისიამოვნე.“

ჩვენ კი ამ ყმაწვილთან დაკავშირებით შემდეგ რამეებს შეგახსენებთ. ჩვენი თვალთახედვის არეში იგი შარშან, ვაშინგტონობის ნახევარფინალში ანდრე აგასის ძლევის შემდეგ მოექცა. მართალია, მერე ფინალში ლეიტონ ჰიუიტთან დათმო, მაგრამ უკვე მაშინვე დაეტყო, მომავალში უფრო სერიოზულ მიზნებსაც რომ გაეთამაშებოდა.

წლეულს მან ერთ ფინალს ისევ უწია და — ეგებ არც თქვენ დავიწყებიათ — ისევ საზაფხულო მაგარსაფრობისას. ამ ჯერზე მან ლოს ანჯელესში იფინალა და იქ ზემოთ ხსენებულ აგასისთან დამარცხდა. სხვაფრივ, მისი საამსეზონო მონაგარი ახლა 19 მარცხის წილ 18 გამარჯვებას შეადგენს. და აქვე ხამს, ისიც გავიხსენოთ, რომ წლევანდელი უიმბლდონობის მეორე წრეში ეს სწორედ მან აოტა ამქრის 19 წლის ფასკუნჯი რაფაელ ნადალი.

ფლეშინგმედოუზურ მეორე წრეში კი მას მასსავით ზორბა ამერიკელ რობი ჯინეპრისთან მოუწევს შეხლა. მოგიწოდებთ, არ გაგიკვირდეთ, თუკი ის ამ შეხვედრაში გამარჯვებას ვეღარ შეძლებს — ერთი რომ, თავის მხრივ ჯინეპრიც კაი ღონიერი და მზარდი ძალაა და მეორეც, როდიკი წლეულს მასაც დაუმარცხებია (ინდიანაპოლისობის მეოთხედფინალში).

ახლა კი სხვებზეც და უპირველესად — კაცთა ამქრის პირველოსანსა და შარშანდელ ჩემპიონ როჯერ ფედერერზე, ვინაც საათზე მხოლოდ ერთი წუთით მეტი მოანდომა მეორე წრეში გაჯლიგინებას. ერთადერთი, რასაც უჭაროვნესად მომარმაშე პირველოსნის (თუნდაც დროებით) შეჩერება შეეძლო, წვიმა იყო, მაგრამ ფედერერის ლაღი ბურთაობის წინაშე სტიქიამაც მოიდრიკა ქედი, რომ აღარაფერი ვთქვათ 22 წლის გამოუცდელ ჩეხ ივო მინარზეც, ვინაც ფლეშინგმედოუზზე თავის სადებიუტო შეხვედრას მართავდა.

ამ მოგებით როჯერმა სამი მარცხის წილ თავისი 65-ე საამსეზონო გამარჯვება მიითვალა. ის უკვე 19 შეხვედრაა, იგებს, საკუთრივ მაგარსაფარზე კი უკვე 29 მატჩია, არ დამარცხებულა.

დიდი ტურნირის [illegible] ბარალოზე დაწყება ყოველთვის მაგრად ასწორებსო, ამბობდა ტრე მხიარული როჯერი და იქვე დასძენდა, რომ ასე ხოშიანად საქმე უკვე კარგა ხანია, არ დაუწყია.

დარბაისელ ბრიტანელ ტიმ ჰენმანს კი წლეულს ყველაფერი უფლმად მისდის და გამონაკლისი აღარ ეს იუესოუპენობა გამოდგა. რიგიანი შარშანდელი სეზონის შემდეგ ვეტერანმა კუნძულელმა ამ სეზონში დიდი მუზარადის ერთ ტურნირზეც ვერ შეძლო, მესამე წრეს რომ გასცილებოდა, ახლა კი საერთოდაც უსუსურად ითამაშა და დიდ-ვერავინ ესპანელ ვერდასკოს გაუბრძოლებლივ გაებუნძულებინა.

ოტებულ იქნა ჰენმანის კიბალა თვისტოში გრეგ რუზედაკიც ვინაც წინა კვირაში ნიუჰევენობაზე წარმატებულ ჯეიმს ბლეიკს კი ვაუძალიანდა, მაგრამ სეტის მოგება — მატჩზე ვინღა ლაპარაკობს — ეგრეც ვერ მოახერხა.

ერთადერთი ბრიტანელი ხვალ, თავის წილი ამოცანა ხეიროსნად, უფრო სწორად კი ხეიროსნებასნ რომ გადაჭრა, ჭაბუკი სკოტი ლეიდი მიურეია. ეს კაფანდარა ყმაწვილი ჩვენი მამოხილვების გმირი ამ ოთოვენახევრის წინ შეიქნა, როცა წინასაუიმბლდონო ბალახობისას ოლიტინგსიის სიდრმეებიდან ამოყვანთა და თავი მტკიცე ხასიათით დაგვამახსოვრა.

ხასიათი 18 წლის მიურეიმ ჯერ შინაც ვკაჩვენა, როცა თავის პირველ საფლეშინგმედოუზო შეხვედრაში ვამოცდილ რუმანელ

-ირეი ჰაჯეკს სამსაათიანი ბრძოლობაში ეომა და 6:3 4:6 3:6 6:1 6:4 აჯობა.

ცნობისთვის: ეს ბიჭი, რომელიც ტრადიციული ბრიტანელი მოაწინდე-მიეძალე ყაიდით თამაშის ნაცვლად უკანახაზიდან ხანგრძლივ ბრახა-ბრუხს არჩევს, აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის თექვსმეტეულში ჩემპიონია.

რაც შეეხება ზეპურ მდედრეულს, აქ არავითარი მოულოდნელობა არ აღნიშნულა და ყველა გენიოსალმა უპრობლემოდ გაიმეორეს წინა.

მცირედ გაუჭირდა ამქრის პირველოსნობადაბრუნებულ ლინდსი დევენპორტს, ვინაც ტურნირის 1998 წლის ჩემპიონია, და შარშანდელ ფინალისტ ელენა დემენტიევას. პირველმა საკმაოდ ოკრიბოკრიდან იჩოგნავა ბეჯითი და მოწადინებული ჩინელი ლის წინააღმდეგ, მეორემ კი ჩეხ საფაროვასთან ნახევარნები მოჭოჭმანე თამაშით კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ შარშანდლისებრით ძიძღუკის გამმეორება — მისი თვისტომების დარად — არც თავად უნდა იყოს.

სხვათა შორის, დევენპორტისთვის ეს დიდი მუზარადის 50-ე ტურნირია (სულ მცირე!. ამდენ სლემტურნირზე კი აქამდე მხოლოდ ეკუს დიდ ქალმეჩოგნეს ეთამაშა.

და ბოლოს — უბასრეს ფორმაშია და ჩეხი ონდრაშკოვას გაბითურებას საათზე ორი წუთით ნაკლები მოანდომა შარშანწინდელმა ჩემპიონმა ჟუსტინ ენენ-არდენმა. ამელი მორეზმომ კი იტალიელი ვინჩი ამაზე ხუთი წუთით მეტში დაიმორჩილა.

ლევან კელაურაძე

ბრიტანელები, უცხო ენები და ოლიმპიური თამაშები

ოლიმპიური თამაშები ერთადერთი ყველაზე მასობრივი ღონისძიებაა, რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ერთ რომელიმე ქალაქში მთელი მსოფლიოს წარმომადგენლებს უყრის თავს. მისი მონაწილენი ყველა სხვა ღონისძიებისგან განსხვავებით არა მხოლოდ ფიზიკური სიძლიერით გამოირჩევიან, არამედ მრავალ ენაზე საუბრითაც.

ოლიმპიური თამაშების მასპინძლები სტუმრებთან ურთიერთობას, ჩვეულებრივ, არა მხოლოდ თავიანთ სახელმწიფო, არამედ უცხო ენებითაც ამყარებენ, მაგრამ ამ მხრივ, ეტყობა, შვიდი წლის მერე ლონდონელებს პრობლემები ექნებათ. მათ მეტად გაუჭირდებათ იმ უცხოელებთან ურთიერთობა, რომლებიც ინგლისურს არ ფლობენ, რაკიღა თავად მშობლიურის გარდა სხვა რამ ენაზე კერ საუბრობენ.

სოციოლოგთა მონაცემებით, ბრიტანეთში უცხო ენებს გაცილებით ცოტა ფლობს, ვიდრე სხვა ევროპულ ქვეყნებში. დიდბრიტანელები თავიანთი ლინგვისტური „განსწავლულობით" ევროპაში ბოლო ადგილზე არიან. ირწმუნებიან, რომ ეს სავალალო რეკორდი ბრიტანელთა უნიჭობით კი არა, იქაური განათლების სისტემით აიხსნებაო, რაც ბოლო დრომდე უცხო ენების დასაუფლებლად სტიმულს არ იძლეოდა.

სტატისტიკის მიხედვით, შარშან ინგლისის დაწყებითი სკოლების მხოლოდ 44 პროცენტში ასწავლიდნენ უცხო ენებს, დანარჩენში ეს საქმე სავალდებულო სულაც არ იყო.

ამ მხრივ მდგომარეობა შარშან უფრო დამძიმდა, რადგან 14 წელს გაღაცილებულ მოსწავლეებს ნება დართეს, რომ საერთოდ უარი ეთქვათ უცხო ენების შესწავლაზე.

პრობლემა იმდენად ბრიტანელთა განათლების სისტემაში კი არა, არამედ უცხო ენათა შესწავლის სურვილის არქონაშია. ბრიტანელთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ მათ კი არ უნდა ისწავლონ უცხო ენა, არამედ მთელი მსოფლიო უნდა ალაპარაკდეს ინგლისურადო.

ექსპერტთა აზრით, ბრიტანელთა ასეთი რწმენა, შესაძლოა, შეცვალოს უცხო ენათა დაუფლების... მოდამ. ბრიტანეთის სკოლებში ამაზე უკვე ფიქრობენ და იმაზეც ტკინს იჭყლეტენ, თუ როგორ დაუკავშირონ ეს საქმე 2012 წელს ლონდონში გასამართ ოლიმპიურ თამაშებს.

მასწავლებლები ფიქრობენ, რომ შესაძლოა მათ აღსაზრდელთა უცხოური ენებისადმი ინტერესის გასაღვივებლად გამოდგეს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ნაკრები გუნდების სპორტის ვარსკვლავთა მიღწევების გაცნობა.

ჰოდა, ვინ იცის, იქნებ ლონდონის მომავალი ოლიმპიური თამაშები ბრიტანელთა ლინგვისტური განათლების საქმეში გარდამტეხი აღმოჩნდეს.

ავთანდილ ბუკვიშელი

ოქრო თოვლისგანაც გამოდნება

ხუთი რგოლის ტრანსფორმაცია

1972 წელს, როცა ლორდმა კილანინმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბბინის გასაღები ევერი ბრენდეჯს გადაულოცა, თავის მემკვიდრეს იქვე უწინასწარმეტყველა: „მეეჭვება, რომ ამ გასაღებით დიდხანს ისარგებლოთ. მგონია, რომ ოლიმპიური მოძრაობის დღეები დათვლილია. ბევრი ბევრი, ამ მოძრაობამ სულ რამდენიმე წელიწადს გაუძლოს".

მართლაც, ლორდის წინასწარმეტყველება ლამის ახდა. ჯერ იყო და, იმავე წელიწადს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე, ამგვარ ასპარეზობათა ისტორიაში პირველად, ტერორისტული აქტი განხორციელდა, რასაც მძევლად აყვანილი თერთმეტი ისრაელელი სპორტსმენის სიკვდილი მოჰყვა. მერე საქმეში მეტისმეტად ჩაერია პოლიტიკა, რამაც 1976, 1980 და 1984 წლების ოლიმპიური თამაშებისადმი ბოიკოტი განაპირობა. ამით, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა იზარალეს, მაგრამ „ბოროტების იმპერიამ" მაინც ვერ მოისვენა და დაიჩემა, ოლიმპიური თამაშებისადმი კონტროლი სოკ-მა იუნესკოს უნდა გადაულოცოსო.

ყოველივე ამის გამო იყო, რომ იმ წლებში ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა ლამის აღარავის უნდოდა. მაგალითად, 1980 წელს ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა ლეიკ პლესიდის გარდა არავის უცდია. ორი წლით ადრე, როცა 1980 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი უნდა აერჩიათ, არც მაშინ ჰქონდათ საქმე ასარჩევად, რადგან ლოს ანჯელესი უკონკურენციო იყო. 1988 წლის ოლიმპიადის სამასპინძლოდ სოკში განაცხადი მხოლოდ ნაგოიამ შეიტანა ისე, როგორც წესი და რიგი იყო. და მხოლოდ ზედ ბადენ ბადენის სესიის წინ გამოჩნდა სეულის კანდიდატურა, რომელმაც მასპინძლობის უფლება მოიპოვა.

ოლიმპიური თამაშებისადმი ქალაქთა ინტერესის დაკარგვა მაშინ პოლიტიკურ ვაკხანალიასთან ერთად განაპირობა ფინანსურმა ხელმოკლეობამაც, რის გამოც მეტად გაჭირდა ოლიმპიადების დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის დაცვა.

ახლა კი...

ახლა ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ, თეთრი იქნება იგი თუ მწვანე, შეიძლება ითქვას, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული, რისთვისაც ქალაქები არაფერს იშურებენ და ნემსის ყუნწში ძვრებიან.

მაინც, რამ განაპირობა ოლიმპიური თამაშებისადმი ამგვარი ლტოლვა?

ინგლისელი მაიკლ პეინი, რომელიც მთელი 20 წლის განმავლობაში მარკეტინგის სფეროში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დირექტორი იყო, სულ ახლახანს გამოცემულ თავის წიგნში — „ოლიმპიური გადატრიალება" — წერს:

„თამაშების ტრანსფორმაცია — ეს ბიზნესის ისტორიის ღირსშესანიშნავი თავია. თითქმის გაბანკროტებული ოლიმპიურმა მოძრაობამ, რომელიც, ფაქტობრივად, ექსპერტთა უმრავლესობას უკვე ჩამოეწერა, უფსკრულის კიდიდან თავისი ლიდერის, ხუან ანტონიო სამარანჩის შორსმჭვრეტელური უნარის წყალობით გადმოინაცვლა. შეიქმნა კორპორაციული მარკეტინგის უნიკალური ბაქანი. სპორტმა და ტელევიზიამ ერთმანეთი შეიყვარეს. კომპანიებმა თანდათან გაიგეს სპორტის ძალა, როგორც რეკლამის ინსტრუმენტისა. ამის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ, რომ 1980 წელს ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ტელეგადაცემათა უფლების მოპოვება ერთიანლივად 122 მილიონი დოლარი ღირდა, ახლა კი 2008 წლის მხოლოდ პეკინის ოლიმპიური თამაშების ტრანსლაციის უფლების გაყიდვით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ბიუჯეტი 2,3 მილიარდამდე დოლარით შეივსო.

მეორე მაგალითი: ვანკუვერის 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების პირველმა სპონსორულმა კონტრაქტმა მის საორგანიზაციო კომიტეტს 150 მილიონი დოლარი მოუტანა. და ეს მაშინ, როცა 1980 წელს ლეიკ პლესიდის თეთრი ოლიმპიადის ორგანიზატორებმა 200 სპონსორისგან სამჯერ ნაკლები თანხა მიიღეს.

მესამე მაგალითი: „კოკა კოლას" კომპანიამ სულ რაღაც სამიოდე კვირის წინათ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან 2020 წლამდე დადო პარტნიორული ხელშეკრულება და, უეჭველია, რომ ოლიმპიური მოძრაობის ამ უძველეს კომპანიას მსოფლიოს სხვა უმსხვილესი კორპორაციებიც მიბაძავენ.

ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ბადრი პატარკაციშვილს ბორჯომ-ბაკურიან-თბილისში ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის იდეა დაებადა და მიზნის მისაღწევათ ბრძოლაშიც ჩაება, ცუდი კი ისაა, რომ სპორტისა და ბიზნესის გადაჯაჭვის აუცილებლობა საქართველოში თითო-ოროლას თუ ესმის.

ამიტომაც ეს საქმე ერთი კაცის რაღაც კერძო ინიციატივად არ უნდა დარჩეს და არც საბიუჯეტო დაფინანსებაზე ვიფიქროთ.

ავთანდილ ბუკვიშელი

სევდიან-ხმაურიანი დიდი ტრეიდი

დანი ჰიტლი

ლამის ორი წელიწადი გავიდა იმ ავადსახსენებელი დღის შემდეგ, მაგრამ დანი ჰიტლის მძიმე მოგონებები ახლაც სტანჯავს. 2003 წლის სექტემბერში მანქანა, რომელსაც „ატლანტას" ლიდერი მართავდა, ბეტონის კედელს დაეჯახა. თავად ჰიტლი გადარჩა, თუმც მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო, გვერდით მჯდომი თანაკლუბელი ლენ სნაიდერი კი ადგილზვე დაიღუპა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ჰიტლი უდანაშაულოდ ცნო, თავად ჰოკეისტი, ცხადია, სინდისის ქენჯნას ვერ მოერია.

ტრავმის შემდეგ ჰიტლი დაბრუნდა თავის მშობლიურ კლუბში და 2003-04 წლების სეზონის ბოლო 31 თამაში რაღაცნაირად ჩაატარა. შემდეგ იყო ლოკაუტი, მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი მოწესრიგდა და ჰიტლის კონტრაქტის გაფორმების შემდეგ კიდევ სამი წლით „ატლანტაში" დარჩენის პერსპექტივა შეექმნა, მან ველარ მოთოკა ემოციები. ფიქრი იმაზე, რომ ყოველდღიურად მოუწევს იმ გასახდელში შესვლა და იმ არენაზე თამაში, რომელზეც ოდესღაც მისი ახლო მეგობარი ასპარეზობდა და რომლის ჭერქვეშაც ახლა მისი №37 მაისურაა ჩამოკიდებული, ჰიტლისთვის აუტანელი გახდა და მან კლუბის მესვეურთ გაცვლა სთხოვა.

ცხადია, ესოდენ მნიშვნელოვანი მოთამაშის დაკარგვა სულაც არ შედიოდა „თრეშერების" გეგმებში, მაგრამ გუნდის მფლობელები გაგებით შეხვდნენ ამ ფაქტს და ჰიტლის თხოვნა დაკმაყოფილეს. ნჰლ-ის ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ჰოკეისტის ახალი ადგილსამყოფელი „ოტავა" გახდა ანუ გუნდი, რომელიც ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო ძლიერდება და, სპეციალისტების აზრით, ადრე თუ გვიან სტენლის თასსაც მისწვდება. ჰიტლის ნაცვლად კი „ატლანტამ" საკმაოდ ლერიოზული კომპენსაცია მიიღო სლოვაკ ფორვარდ მარიან ჰოსას და მცველ გრეგ დევრიზის სახით. განსაკუთრებით აქ ჰოსაა გამოსაყოფი, რომელიც, ჰიტლის დარად, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია.

აღსანიშნავია, რომ ეს ხმაურიანი ტრეიდი სწორედ იმ დღეს განხორციელდა, როცა ჰოსამ, როგორც იქნა, მიაღწია თანხმობას „ოტავასთან" ახალი კონტრაქტის თაობაზე და მომდევნო სამი წლის განმავლობაში 18 მილიონი დოლარის მფლობელი უნდა გამხდარიყო.

აი, „ფლორიდის" გოლკიპერ რობერტო ლუონგოს სხვაგვარი უსიამოვნება დაატყდა თავს. 2003-04 წლების სეზონის ბრწყინვალედ ჩატარების შემდეგ მადაზე მოვდა და კლუბს ხელფასის მკვეთრი მომატება მოსთხოვა, თუმც თავის სახარბეს ემსხვერპლა. მას შემდეგ, რაც ლუონგომ კლუბის ბოლო წინადადება — 5 წელი და 25 მილიონი — უარყო, საქმე სასამართლოს გადაეცა და ამ გზით განისაზღვრა მისი ხელფასი — 3,2 მილიონი დოლარი. ერთადერთი სანუგეშო მისთვის ამ ვითარებაში ისაა, რომ უკვე მომდევნო სეზონში სხვა გუნდში გადასვლის საშუალება ექნება.

სასაუბრო, მარტენ სან-ლუი გაცილებით უფრო დამაკერი აღმოჩნდა და საბოლოოდ მანც მიაღწია შეთანხმებას თავის კლუბ „ტამპასთან", რომლის რიგებში ექსტრაკლასის ფორვარდად იქცა და სტენლის თასიც მოიპოვა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ 30 წლის ტანმორჩილმა ფორვარდმა 6 წლიანი და 31,5 მილიონ დოლარიანი კონტრაქტი გააფორმა. შესაძლოა, ეს მანც არ არის ის ხელფასი, რასაც სან-ლუი იმსახურებდა. ბოლოს და ბოლოს ის ხომ 2003-04 სეზონის უძვირფასესი მოთამაშე იყო. თუმც მან სხვა გუნდში ბედის გამოცდას „ჯამპაში" დარჩენა ამჯობინა, ხოლო მას შემდეგ, რაც ერთი კვირის წინ „ავლეგებმა" ვანსან ლეკავალიუსთან 4-წლიანი და 27 მილიონ დოლარიანი კონტრაქტი გაფორმა, სან-ლუისთვის მეტი ფული არ დარჩა. „ძთვლი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ შეგვპარვია ეჭვი, რომ მარტენს ტამპაში დარჩენა სურს და ის ფაქტი, რომ ის შედარებით ნაკლებ ხელფასზე დაყაბულდა, კიდევ ერთხელ აღასტურებს მის ერთგულებას ჩვენი კლუბისადმი" — თქვა „ტამპას" გენერალურმა მენეჯერმა ვინ ფეიჩტერმა.

სამველ ღარიბიანი

ჰოკეისტი	ამპლუა	ძველი კლუბი	ახალი კლუბი	ვადა	თანხა
დ. ანდრეიჩუკი	ფორვარდი	ტამპა	ტამპა	2წელი	-
ა. მარკოვი	მცველი	მონრეალი	მონრეალი	2 წელი	3,5 მ. $
მ. ოლუნდი	მცველი	ვანკუვერი	ვანკუვერი	4 წელი	14 მ. $
ტ. სელიანე	ფორვარდი	კოლორადო	ანაჰაიმი	1 წელი	-
ს. რუჩინი	ფორვარდი	ანაჰაიმი	რეინჯერსი	-	-
კ. ჯოზეფი	მეკარე	დეტროიტი	ფინიქსი	1 წელი	-

ამოჭრილი ახლებურად

შაბათს [illegible] ... ლეონინგრადის [illegible] ... ბრიტანეთი, ესპანეთი, [illegible] ... ადრიატის [illegible] ... ქალაქი [illegible] ... ადგილზე, [illegible] 8 [illegible] 7 [illegible]

ლაშა გეგეჭკორი



მოკალი და დალიე

რუსულ [illegible] ... ინტერესო ტურნირის [illegible] ... დღეებში ქალაქ [illegible] ... შაშის, არამედ [illegible] ... ბების [illegible] ... [illegible] ... ბენ. შაშის [illegible] ... ბის [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

AFP ათენიდან



ᲒᲐᲚᲛᲘᲗ ᲨᲔᲜᲐ ᲡᲐᲠ

ათენის საპლაჟო ფრენბურთის მოედანზე 2005 წლის მსოფლიო ტურის შესარჩევ მატჩში საფრანგეთი ლატვიას შეება და აჯობა. ბადის გადაღმა ფრანგი ქიუი ჩანს, გადმოღმა ლატვიელი მინუსა. მათი მეწყვილეები ბერერა და ჟურსონი კი კადრში ვერ მოხვედრილან.



AFP მალმიოდან

აი, ამერიკის თასის 32-ე გათამაშების მეექვსე ეტაპი მალმიოში, შვედეთში. გაგიკვირდათ? ეგ არაფერი, შემდეგი ეტაპი ესპანეთში იქნება. იახტას „ალინგი“ ჰქვია და ეს ეტაპი მოიგო.

ᲛᲖᲔᲝ, ᲐᲛᲝᲥᲓᲘ, ᲐᲛᲝᲥᲓᲘ

*თქვენ წინაშეა სტამბოლის ახალთახალ საფორმულე ტრასაზე გადაღებული ფოტო, რომელზეც თავად რეპორტიორმაც კი ვერ ამოიცნო, ფორმულა G-ს რომელი პროტოტიპი ზის საჭესთან, მაგრამ ეგ არაფერი. მთავარი ის არის, რომ ავტო ს